# ახალგაზრდა კომუნისტი

შაბათი, 6 იანვარი, 1990 წ.
№ 2 (11488)

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ორგანო

«АХАЛГАЗРДА КОМУНИСТИ» — ОРГАН ЦК ЛКСМ ГРУЗИИ

გაზეთი გამოდის
გამოდის 1921 წლის 13 აპრილიდან

ფასი 3 კაპ.

ჩვენი მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქუჩა № 14 (შესასვლელი გ. ლეონიძის ქუჩიდან) ტელეფონები: რედაქტორისა — 93-97-31, წერილების განყოფილება — 93-38-52, სამდივნო — 93-31-56


ეროვნული ბიბლიოთეკა



## კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის და კურთხეულია შენი მუცლის ნაყოფი

(ლუკა, 1, 42)

ხვალ მართლმადიდებლური ეკლესია აღნიშნავს

# ქრისტეშობას

4-5 გვ.

## დაფარვა არ ეგების

— 4 იანვარს სამაჩაბლოდან დახმარებისათვის ჩამოვიდა 150-ზე მეტი ქართველი. პრესის მუშაკებთან მათი შეხვედრის ანგარიში და ჟურნალისტთა მიმართვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსადმი

იხ. მე-3 გვ.

## სტუდენტთა აზრით

უნივერსიტეტის სტუდენტთა მოსაზრებები სსრკ სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობაზე

სოციოლოგიური გამოკვლევა

იხ. მე-6 გვ.

თბილისი (საქართველო), ლენინის 14.

## გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“



ქართველთა სათვისტომო მიუნჰენიდან ულოცავს საქართველოს შობა-ახალ წელს. ქართველ ახალგაზრდობას ვუსურვებთ დიდ მიღწევებს, გამარჯვებებს და საუკეთესო ოცნებათა განხორციელებას. შორი მანძილით მოშორებული, მაგრამ სულით და გულით ყოველთვის თქვენთან ვართ. მრავალჟამიერ.

უდიდესი პატივისცემით.

ქართველთა სათვისტომოს გამგეობის პრეზიდენტი
ქრისტეფორე კირკიტაძე

მიუნჰენი. გფრ. 24. XII. 89 წ.

## ქართველ ახალგაზრდობას



სიყვარულით გესალმებით შორიდან და სულითა და გულით გილოცავთ შობა-ახალ წელს. გისურვებთ ჯანმრთელობას, სიმხნევეს, ერთობას და გამარჯვებას. გენახოთ ჩვენი სამშობლო ლაღი, თავისუფალი და ბედნიერი. მუდამ გახსოვდეთ ბრძნული ქართული ანდაზა „ხერხი სჯობია ღონესა“, რომელთა მეოხებით ჩვენმა წინაპრებმა შეინარჩუნეს ჩვენი ერი საუკუნეების მანძილზე, მიუხედავად მრავალი დარბევისა და უბედურებისა. ნათქვამია „დრონი მეფობენ და არა მეფენი“, ეს დროც ახლოვდება ჩქარი ნაბიჯებით, დრო განთავისუფლებისა და სიმართლის გამარჯვებისა. თქვენ ხართ ჩვენი იმედი და სიამაყე. ღმერთი გფარველობდეთ და მარჯვედ გევლოთ. თქვენი სიცოცხლე, უნარი და ნიჭი უაღრესად ესაჭიროება ჩვენს სამშობლოს, რათა იგი ამაყად და წელგამართული შევიდეს თავისუფალი ერების სამეგობროში.

სიყვარულით ჩაგიკრავთ გულში და გეამბორებით!

საფრანგეთში მცხოვრებ ქართველთა სახელით
ვიქტორ ხომერიკი.

შარშან, 1989 წელს მთელმა მსოფლიომ აღნიშნა ფოტოგრაფიის 150 წელი. ამ საიუბილეო თარიღისათვის ჩვენს გაზეთსაც მიუძღვნია ფოტოფერნისაჟი თუ ვრცელი პუბლიკაცია. ამჯერად თელავში გახსნილ ფოტო-გამოფენაზე მოგითხრობთ პუბლიკაცია

## დროა მივუჩინოთ ბინა

იხ. მე-7 გვ.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრესცენტრი

ანგარიშგება-არჩევნები კომკავშირში

# სიახლეთა ძიების გზით...

**კომკავშირის** ქუთაისის საქალაქო ორგანიზაციის კონფერენციაზე თვალნათლივ გამოჩნდა, რომ ქუთაისელ კომკავშირულ ხელმძღვანელებს შესწევთ უნარი ელაპარაკონ ახალგაზრდობას, გაიყოლონ კეთილი საქმეებისაკენ. იქნებ ამის შედეგიც იყო ის, რომ კონფერენციაზე იმაზე მეტი ახალგაზრდა მოვიდა, ვიდრე ელოდნენ. აქ იყვნენ სხვადასხვა თაობის ადამიანები, „არაფორმალური" გაერთიანებების, სახალხო ფრონტის, რუსთაველის საზოგადოების წარმომადგენლები. მართლაც, არ არსებობს პრობლემა მხოლოდ კომკავშირელებისათვის ან მხოლოდ კავშირგარეშეთათვის. ქუთაისელ ახალგაზრდობას ისევე, როგორც ბევრ მათ თანატოლს, ერთი სალოცავი აქვს — საქართველო, ერთი ოცნება — დამოუკიდებლობა, ერთი საზრუნავი — ერთიანობის მიღწევა...

ამიტომაც იყვნენ კომკავშირულ კონფერენციაზე ყველანი ერთად, ამიტომაც იყო მწვავე გამოსვლები. არ დარჩენილა არც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, ახალგაზრდები რომ არ შეხებოდნენ. მოხსენებაში, კამათში მონაწილეთა გამოსვლებში წინ წამოიწია უმნიშვნელოვანესმა საკითხებმა:

— როდის აპირებს საქართველოს კომკავშირი რიგგარეშე ყრილობის ჩატარებას; როგორ მიმდინარეობს მზადება ახალი წესდების, პროგრამის, პლატფორმის შემუშავებისათვის; აპირებს თუ არა გამოყოფას საქართველოს კომკავშირი „ცენტრისაგან". რა წინააღმდეგობებია მიმდინარე ეტაპზე, როგორი დამოკიდებულება აქვს საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტს სხვა ახალგაზრდულ გაერთიანებებთან, ასოციაციებთან. როგორ ესახება მას კონსოლიდაციისაკენ მიმავალი გზა; როგორია კომკავშირის პოზიცია ეროვნულ საჯარისო ფორმირებების საკითხთან დაკავშირებით;

რა მუშაობას ეწევა კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის. რა შანსები აქვს ახალგაზრდობას პარლამენტში მოხვედრისათვის; რა ხდება სასკოლო პიონერულ და კომკავშირულ ორგანიზაციებში; შეიცვლება თუ არა კომკავშირში შემსვლელებისათვის ასაკობრივი ზღვარი...

ახალგაზრდობის მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხა და რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესები საინტერესოდ გაშუქა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **გიგლა ბარამიძემ.**

ითქვა, რომ აქტიურად მიმდინარეობს მზადება რიგგარეში ყრილობისათვის, ითქვა ბევრ მტკივნეულ საკითხზეც, განსაკუთრებით, ეროვნებათშორისი ურთიერთობაზე, ეთნოკრიზისებზე, კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პოზიციაზე, რომელიც უპირველესად ეროვნულია და გამომდინარეობს სრულიად საქართველოს, მისი ღირსების დამფასებელი ხალხების ინტერესებიდან.

კონფერენციაზე უყურადღებოდ არ დარჩენილა სასკოლო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობა. ცენტრალური კომიტეტის მდივნის გამოსვლაში საუბარი იყო სოციოლოგიური კვლევის ლაბორატორიის ჩამოყალიბებაზე, მეცნიერულად გააზრებული რეკომენდაციების შემუშავებასა და ახალგაზრდობასთან მუშაობის ახალი ფორმების ძიებაზე. აუცილებლად იქნა მიჩნეული უფრო მოქნილი საკადრო პოლიტიკის შემუშავება.

ბევრი რამ სთხოვეს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტს კონფერენციის მონაწილეებმა. უპირველესად, ეს ეხება საკაბელო ტელევიზიის სტუდიის შექმნას, ტურისტული საგზურების განაწილების მექანიზმის შეცვლას, მესამე შრომითი სემესტრის დროს რაზმების ადგილებზე დარჩენას, ხელშეკრულებების გაფორმებაში დახმარების აღმოჩენას, უზენაეს საბჭოში ე. წ. „ახალგაზრდული პარლამენტის" შექმნას და სხვა.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე თეიმურაზ შოშიაშვილი, მის გამოსვლას, როგორც ქალაქის საბჭოს თავმჯდომარისას და ყოფილი კომკავშირის მდივნისას, დიდი ინტერესით შეხვდა ახალგაზრდობა.

არჩევნები კონფერენციაზე მართლაც დემოკრატიულად წარიმართა, ალტერნატიულ საწყისებზე. პირველ, მეორე და მესამე მდივნებად, განყოფილების გამგებად არჩეულ იყვნენ მხოლოდ ისინი, ვინც დელეგატებმა დაასახელა. მართლაც ღირსეული ლიდერი ეყოლება ქუთაისის კომკავშირულ ორგანიზაციას **ზაზა დვალიშვილის** სახით. მეორე მდივნად არჩეულ იქნა **რამაზ ლვინიფაძე**, მდივნად — **მაკა მიქაუტაძე**, საორგანიზაციო განყოფილების გამგედ — **დემურ ქუთათელაძე.**

**ნინო ფირცხალავა,**
**მომზადებულია პრესცენტრის მასალების მიხედვით.**

# შეიქმნა ახალგაზრდა ისტორიკოსთა ასოციაცია

**1989 წლის** 25 ნოემბერს გაიმართა საქართველოს საისტორიო საზოგადოების VI ყრილობა. ყრილობამ მოისმინა ახალგაზრდა ისტორიკოსთა ასოციაციის საინიციატივო ჯგუფის წევრის პაატა სურგულაძის ინფორმაცია, რომელმაც ვრცლად ისაუბრა ახალგაზრდა ისტორიკოსთა ასოციაციის შექმნის საჭიროებაზე, მის მიზნებსა თუ ამოცანებზე, აღნიშნა საინიციატივო ჯგუფის სურვილი — სრული შინაგანი ავტონომიის დაცვით ჩამოყალიბდეს საქართველოს საისტორიო საზოგადოებასთან.

ყრილობამ მოიწონა ახალგაზრდა ისტორიკოსთა ასოციაციის იდეა, კმაყოფილება გამოთქვა საისტორიო საზოგადოებასთან მის ჩამოყალიბებაზე, აღნიშნა, რომ ასოციაციის ორგანიზაციული გაფორმების შემდეგ საქართველოს საისტორიო საზოგადოების ახალგაზრდული სექცია ავტომატურად შეწყვეტს არსებობას.

1989 წლის 28 დეკემბერს ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შედგა ახალგაზრდა ისტორიკოსთა ასოციაციის დამფუძნებელი კრება, რომელმაც დაამტკიცა პროგრამა და წესდება, მიიღო მიმართვა, აირჩია პრეზიდიუმი 9 კაცის შემადგენლობით. ახალგაზრდა ისტორიკოსთა ასოციაციის პრეზიდიუმის წევრებად აირჩიეს: ჯ. ფაჭიძე, ბ. მარეთამშვილი, ა. კოხრეიძე, დ. მანჯავიძე, ე. მაზმიშვილი, დ. ნინიძე, მ. სიორიძე, პ. სურგულაძე, მ. ჩხარტიშვილი.

გაიმართა ახალგაზრდა ისტორიკოსთა ასოციაციის პრეზიდიუმის სხდომა. ახალგაზრდა ისტორიკოსთა ასოციაციის პრეზიდენტად აირჩიეს პაატა სურგულაძე, ვიცე-პრეზიდენტად არჩილ კოხრეიძე და დიმიტრი მანჯავიძე, სწავლულ მდივნად ეკა მაზმიშვილი. პრეზიდიუმმა ახალგაზრდა ისტორიკოსთა ასოციაციის ჟურნალის მთავარ რედაქტორად დაამტკიცა მარინე ჩხარტიშვილი და მასვე დაავალა სარედაქციო კოლეგიის შედგენა.

ახალგაზრდა ისტორიკოსთა ასოციაციის მიმართვა, წესდება და პროგრამა მალე გამოქვეყნდება.

# წერილი რედაქციას

თქვენი გაზეთის 1989 წლის 26 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებული იყო რეპორტაჟი სათაურით — „პატარა გორი დიდია?", რომელიც იუწყებოდა საზოგადოება „სტალინის" შექმნის შესახებ. მასში, სხვათა შორის, მითითებული იყო, რომ ამ საზოგადოების საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობაში სხვებთან ერთად თითქოს შევდივართ ჩვენც. თავს ვალდებულად ვთვლით განვაცხადოთ, რომ ეს ცნობა არ შეეფერება სინამდვილეს. ჩვენ ამ საზოგადოების შექმნაში არ მიგვიღია მონაწილეობა და საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობაშიც არა ვართ. არც ქ. გორში გამართულ დამფუძნებელ კრებას დავსწრებივართ.

პატივისცემით
ალექსანდრე ბერიძე,
ნიკო შველიძე

# რუსთაველის საზოგადოების ქუთაისის ორგანიზაციაში

კარგი საახალწლო საჩუქარი მიართვა გულიდე ჩხეტიანის მრავალშვილიან ოჯახს რუსთაველის საზოგადოების ქუთაისის რეგიონულმა ორგანიზაციამ, რომელმაც სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებულ ამ რაიონში გადმოსახლებული ოჯახისათვის დმანისში კეთილმოწყობილი სახლი შეიძინა.

— ეს ფაქტი ჩვენი საქმიანობის მხოლოდ ერთი ეპიზოდია, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ქუთაისის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ მწერალმა რეზო ქეიშვილმა. — საზოგადოების აქტიური წევრების — ქუთაისის ღვინის და ელექტრომექანიკური ქარხნების, ბამბის საქსოვი საწარმოო გაერთიანების, ავტოქარხნების სამშენებლო — სამონტაჟო სამმართველოს, წისქვილკომბინატის, პურის მიმღები საწარმოსა და სხვა კოლექტივების დახმარებით სტიქიით დაზარალებულთათვის სახლების შესაძენად გასული წლის დამლევამდე შეგროვდა ... ბამის ანგარიშზე ჩარიცხულია მილიონ მანეთზე მეტი. დაზარალებულთა დასახმარებლად სახსრებს აგროვებენ პედაგოგიური და პოლიტიკური ინსტიტუტების, მუზეუმის პირველადი ორგანიზაციები. ბუნებრივია, გარკვეული თანხა გადაირიცხება ჩვენს ანგარიშზეც ქუთაისის ბინსოცბანკში. მისი ნომერია: **170092**, აქ შემოტანილ სახსრებს გამოიყენებს ქალაქის დემოგრაფიული ფონდი, კერძოდ, ისინი გადაეცემათ მრავალშვილიან ოჯახებს, მარტოხელებს, ახალდაქორწინებულებს...

რაც შეეხება ჩვენს, ეგრეთ წოდებულ საქველმოქმედო საქმიანობას, როგორც ჩვენი ორგანიზაციის სახელწოდება — „რეგიონული" — გვიჩვენებს, იგი არ შემოიფარგლება მხოლოდ ქუთაისით, რეგიონული უნდა იყოს ჩვენი ორგანიზაციის გაზეთიც „მოწამეთა".

ჩვენს ორგანიზაციას აქვს მრავალი სხვა გეგმაც. ერთ-ერთი მათგანია ბესიკის საფლავის ქვის გადატანა, რომელიც მდებარეობს რუმინეთის ქალაქ იასში. იქ უკვე აღარ არის ბესიკის საფლავი, დარჩა მხოლოდ ქვა და იმისათვის, რომ იგი არ დაიკარგოს, ამ სიმბოლურმა საფლავმა ადგილი უნდა ჰპოვოს წმინდა გიორგის ეკლესიის ეზოში, მამია გურიელის საფლავის გვერდით. ჩვენ ვაპირებთ აღვმართოთ მემორიალი საღორიის ტყეში 1921 წლიდან დაწყებული რეპრესიების მსხვერპლთა ხსოვნისათვის. სხვათა შორის, ეს სწორედ ის ადგილია, სადაც იმ წლებში, მასობრივად ხვრეტდნენ ხალხს. ჩვენი აზრით, კონკურსი, რომელიც ამ მიზნით გამოვაცხადეთ, დაინტერესებას მრავალ მოქანდაკეს.

ჩვენი საუბარი რომ ასეთი ტრაგიკული ნოტით არ დავამთავროთ, გაცნობებთ, რომ ძალიან მალე, ქუთაისში, თეთრი ხიდის მახლობლად აღდგენილი იქნება ცნობილი ადგილი, სადაც იკრიბებოდნენ „ცისფერყანწელები". აქ მდებარეობს ჟურნალ „განთიადის" რედაქცია და რუსთაველის საზოგადოების რეგიონული ორგანიზაცია. ვიმედოვნებ, ყოველივე ეს ხელს შეუწყობს „ცისფერყანწელთა" ტრადიციების აღდგენას.

**გ. ძილაძე,**
**საქინფორმის კორესპონდენტი, ქუთაისი.**

# სასწავლებელი 100 წლისაა

**დღეს** ბათუმში ძნელია დაასახელო საწარმო, სადაც არ შრომობდნენ ადმირალ ი. ისაკოვის სახელობის № 1 ადგილობრივი საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებულები. ესენი არიან ფართო პროფილის ხარატებიც, ტექნოლოგიური დანადგარების ოპერატორებიც, ზეინკალ-მეინსტრუმენტენი, რიცხვითი პროგრამული მართვის ჩარხების გამმართველებიც და მოტორისტი მეზღვაურები.

ამ დღეებში სასწავლებელი დღესასწაულობს თავის იუბილეს — დაარსების 100 წლისთავს. იგი 1889 წლის ოქტომბერში გაიხსნა და მაშინ საქართველოში პირველი და ერთადერთი საშუალო სასწავლებელი იყო, რომელსაც სახელმწიფო აფინანსებდა. იმ დროს მას სახელოსნო სასწავლებელი ერქვა.

თავდაპირველად აქ ასწავლიდნენ სადურგლო, საზეინკლო, სახარატო და სამსხმელო საქმეს. დისციპლინებიდან ასწავლიდნენ ქართულ და რუსულ ენებს, არითმეტიკას, გეომეტრიას, ფიზიკის ელემენტალურ კურსს, ხატვას. შემდეგ სასწავლებელი გარდაიქმნა ინდუსტრიულ ტექნიკუმად, სადაც გაიხსნა ელექტროტექნიკური და აბრეშუმსართავი განყოფილებები. „საქნავთობის" სისტემაში გადასვლის შემდეგ იგი ნავთობის ტექნიკუმი გახდა; 1940 წელს ამ სასწავლებელს კვლავ დაუბრუნდა თავისი თავდაპირველი სახელწოდება, ხოლო 1961 წლიდან იგი № 1 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელია.

მაგრამ საქმე ბოლოს და ბოლოს სახელწოდება კი არა, ის სარგებლობაა, რომელიც ამ სასწავლებელს მოჰქონდა და მოაქვს. თუ ავიღებთ მრისხანე ორმოციან წლებს, ეს არის 19 შეკეთებული სამხედრო ხომალდი, აგრეთვე უამრავი სხვა სატრანსპორტო საშუალებანი და დამხმარე მცურავი მოწყობილობანი. ხოლო 60-იანი წლებიდან დღემდე — ეს არის მრეწველობისა და საზღვაო ტრანსპორტის 20 ათასამდე ახალგაზრდა კვალიფიციური სპეციალისტი. დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს, ბათუმის მანქანათსაშენებელი ქარხნის ხარატი ვლადიმერ დოლიძე, საქართველოს საზღვაო სანაოსნო ტანკერის „ნიკო ფიროსმანაშვილის" ელექტრიკოსი ედუარდ ფილი, ბათუმის მექანიკური ქარხნის მთავარი ინჟინერი ამირან კაკაბაძე, სვერდლოვსკის ქარხანა „ურალმაშინის" საამქროს უფროსი გერალდ პრიამოსოვი. აქვე მუშის პროფესიის პირველ გაკვეთილებს იღებდა თბილისის სამხატვრო აკადემიის ფუძემდებელი იაკობ ნიკოლაძე.

ამ დღეებში სასწავლებელში საზეიმო ვითარებაში აღინიშნა საუკუნოვანი იუბილე. ქალაქის საზოგადოებრიობამ და სტუმრებმა გამოთქვეს რწმენა, რომ ბათუმის ადმირალ ი. ისაკოვის სახელობის № 1 სპეციალური პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი კვლავაც მაღლა ატარებს რესპუბლიკის მუშათა კადრების სამჭედლოს დროშას.

**თენგიზ ვენძახაძე,**
**საქინფორმის კორესპონდენტი.**

# სად გაქრა ექსპონატები?

რა დასამალია, რომ ჩვენი გამუდმებული მოუცლელობის პირობებში მუზეუმებს მეტწილად მაშინ მივაკითხავთ ხოლმე, როდესაც სტუმრები გვეწვევიან საიდანმე. არც ის დაგვემალება, თუ ვცდილობთ სტუმარს ყველაზე გამორჩეული ექსპონატებით მოვაწონოთ თავი. მით უფრო, როცა საქმე ერის ისტორიას ეხება.

ამ რამდენიმე ხნის წინათ სწორედ ამგვარი ვიზიტით გახლდით საქართველოს ისტორიის სახელმწიფო მუზეუმში და საქართველოს ეთნოგრაფიისა და ისტორიის სხვადასხვა პერიოდის ის უმნიშვნელოვანესი ექსპონატები აღარ დაგვხვდა თავის ადგილზე, რომლებიც ადრინდელი სტუმრობიდან გვახსოვდა.

შუა საუკუნეების დარბაზში, მაგალითად, აღარსად იყო ფირნიში წარწერით, რომ მე-12, მე-13 საუკუნეებში საქართველოს ეროვნული შემოსავალი უტოლდებოდა ინგლისისას და საფრანგეთისას.

იმავე ეპოქის ამსახველ თვალსაჩინოებათაგან, კედლიდან ჩამოხსნათ დიდი რუკები, ქართული სამონასტრო მშენებლობების აღნიშვნით, რომლებზედაც რელიეფურად იყო წარმოდგენილი ქართული მონასტრების რაოდენობა საქართველოს ფარგლებს გარეთ, რაც განსაკუთრებულად გამოარჩევს ჩვენს სამშობლოს სხვა ქვეყნებს შორის.

XIX საუკუნისადმი მიძღვნილ დარბაზში, მესამე სართულზე, აღარსად ჩანდა 1832 წლის შეთქმულების მონაწილეთა პორტრეტული გალერეა და სტენდი, სადაც მითითებული იყო ამ შეთქმულების მიზნები და ცალკეულ პირთა პოლიტიკური ორიენტაციები.

არადა, ყოველი ეს ექსპონატი, ადრეც რომ არ ყოფილიყო სათანადოდ წარმოდგენილი, ახლა უნდა გაგვეტანა და გამოგვეფინა. საკითხავია, ვის დასჭირდა უკვე არსებული ამ ექსპონატების თავიდან მოცილება?

იქნებ ძველებურად იდეოლოგიური მოსაზრებებით ხელმძღვანელობდნენ, რათა მავან დამთვალიერებლებს თვალში არ მოხვედროდათ საქართველოს კეთილად წარმოჩინებული წარსული?!

**ზურაბ ასკანელი,**
**ფელიქს კოჭიაშვილი**

### საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტს

### საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს

### საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

### შიდა ქართლის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან 1990 წლის 4 იანვრის შეხვედრის მონაწილე ჟურნალისტების

# მიმართვა

უკანასკნელ დღეებში შიდა ქართლში უკიდურესად დაიძაბა სიტუაცია და კრიტიკულ ზღვარს მიაღწია. თავსგასული ოსი ექსტრემისტები ქართული მოსახლეობისადმი მიმართავენ ყოვლად აღვირახსნილ კანონსაწინააღმდეგო მოქმედებას (სიტყვიერი შეურაცხყოფა, გაუპატიურება, დაჭრა, კაცისკვლა, ბანდიტიზმი). ჩვენთვის და საზოგადოების ფართო მასებისათვის ცნობილი გახდა, რომ 3 იანვარს ქართული ოჯახების მორიგი დარბევისას, სოფელ ფრისში ჩადენილია გაუგონარი დანაშაული, ცეცხლსასროლი იარაღით აკვანში მოკლულია 9 თვის ბავშვი.

დღეს, როდესაც შევხვდით და მოვუსმინეთ შიდა ქართლიდან ჩამოსულ ჩვენს სასოწარკვეთილ თანამემამულეებს, საჭიროდ ვცანით, მოგმართოთ:

1. გამოცხადდეს ოფიციალური პროტესტი ქართველი ხალხის სახელით საქართველოში მიმდინარე პროცესების საკავშირო პრესაში და ტელევიზიით ტენდენციურად და ცალმხრივად გაშუქების გამო, რაც უკიდურესად ამწვავებს ვითარებას. ამასთან მოვითხოვთ, რესპუბლიკის შესაბამისმა კომპეტენტურმა ორგანოებმა შეგვიქმნან სათანადო პირობები რეგიონში შექმნილი ვითარების სრულყოფილად გაშუქებისათვის.

2. განხორციელდეს გადამჭრელი ზომები, რათა უმოკლეს ვადაში რესპუბლიკის ძალებით აღდგეს რეგიონში სრული წესრიგი; ქართველ და ოს მოსახლეობას შეექმნას ნორმალური ცხოვრების პირობები. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, დაუყოვნებლივ გამოვლინდნენ და სამაგალითოდ დაისაჯონ ქვეყნის მოღალატენი, რომელთა მიზანია ეთნოკრიზისების გამოწვევა და საგანგებო მმართველობის შემოღება.

მიგვაჩნია, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში შექმნილ ვითარებას საბედისწერო შედეგები მოჰყვება, რისთვისაც პასუხისმგებლობას ვერც რესპუბლიკის ხელმძღვანელობა აიცილებს.

ვახტანგ აბაშიძე — გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის" რედაქტორი;
ვან ბაიბურთი — გაზეთ „ხორურდაინ ვრასტანის" რედაქტორი;
მერაბ ბალარჯიშვილი — გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" რედაქტორი;
გიორგი გაჩეჩილაძე — რუსთაველის საზოგადოების ერთაშორისი ურთიერთობების კომისიის თავმჯდომარე;
თენგიზ გაჩეჩილაძე — გაზეთ „ლელოს" რედაქტორი;
ვლადიმერ გოგოლაშვილი — გაზეთ „სოფლის ცხოვრების" რედაქტორი;
ალექსანდრე იოსელიანი — გაზეთ „ზარია ვოსტოკას" რედაქტორი;
ნარგიზა მგელაძე — გაზეთ „თბილისის" რედაქტორი;
პაატა ნაცვლიშვილი — გაზეთ „სამშობლოს" რედაქტორი;
აპოლონ სილაგაძე — გაზეთ „სახალხო განათლების" რედაქტორი;
აკაკი სიხარულიძე — საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის მდივნის მოადგილე;
სულეიმან სულეიმანოვი — გაზეთ „სოვეტ გურჯისტანის" რედაქტორი;
მინდია უგრეხელიძე — გაზეთ „კომუნისტის" რედაქტორის პირველი მოადგილე;
დალილა წულაძე — გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის" რედაქტორის მოადგილე;
რამინ ჭელიძე — ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე;
ელიზბარ ჯაველიძე — გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" რედაქტორი;
გურამ ყორანაშვილი — საქართველოს სახალხო ფრონტის ერთაშორისი ურთიერთობის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

---

სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში შექმნილ საგანგაშო მდგომარეობასთან დაკავშირებით 4 იანვარს გორში გაიმართა ხალხმრავალი საპროტესტო მიტინგი. მიტინგზე სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჭითანავა და გორის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. კავსაძე.

---

# დეპეშა ნომერში

1989 წლის 30 დეკემბრის გაზეთში, სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორატი აცხადებს, რომ დაუსწრებელი განყოფილების ზამთრის სესიები შედგება 1990 წლის 2 იანვრიდან 18 იანვრამდე. გთხოვთ გაგვიმარტოთ, რა გზით, რა საშუალებით შევიდეთ ცხინვალში.

სტუდენტების ჯგუფის სახელით მარლენ მღებრიშვილი.

# დაფარვა არ ეგების!

ხშირად (თუ ყოველთვის არა), როცა რესპუბლიკაში მიმდინარე მოვლენებს ვაფასებთ, ვწერთ პრესაში, ისმის ტელევიზიით თუ რადიოთი — **საქართველოს შინაგან საქმეთა ძალები მთლიანად აკონტროლებენ სიტუაციას.** ჩვენ არ ვიცით, ვის როგორ ესმის ეს ფრაზა, ვინ რას გულისხმობს მასში, მაგრამ ვინც 4 იანვარს გაზეთების რედაქციებში მოსულ ცხინვალიდან და მიმდებარე სოფლებიდან — ერედვიდან, კეხვიდან, ქემერტიდან, ძარწემიდან, ხეთიდან, ქურთადან, აჩაბეთიდან, თამარაშენიდან ჩამოსულ 150-ზე მეტ ქართველს მოუსმინა, მისთვის ეს ფრაზა ზოგჯერ ჩვენი უღონობის აღიარებასა თუ რეალური მდგომარეობის შეუფასებლობას უფრო ნიშნავს. ამიტომ პირდაპირ უნდა განვაცხადოთ და ვაღიაროთ, რომ **საქართველოს შინაგან საქმეთა ძალები ისტორიულ სამაჩაბლოში, ამ ძირძველ ქართულ მიწაზე, სიტუაციას მთლიანად ვერ აკონტროლებენ და ქართველ კაცს იქ ძალზედ უჭირს.**

ფაქტები?

რამდენიმე ოსმა გააუპატიურა ქართველი ქალიშვილი.

მოკლეს 17 წლის ვეფხია თუთარაშვილი.

და აი, ახალი საზარელი ამბავი — 3 იანვარს შეიარაღებულმა ბანდიტებმა თოფით მოკლეს ნიკორიშვილების 9 თვის ერთადერთი შვილი.

და ეს ხდება საქართველოს ძირძველ მიწაზე!

კიდევ არაერთი ფაქტი იქნა დასახელებული იმის დამადასტურებელი, რომ ქართველს საქართველოში არ ედგომება, გაზეთ „კომუნისტის" სათათბირო ოთახში, სადაც სამაჩაბლოს ქართველთა დეპუტაციასთან ერთად, შეიკრიბნენ პრესის, ტელევიზიის თუ რადიოს წარმომადგენლები, ეროვნული ხსნის კომიტეტის, ჰელსინკის ჯგუფის, წმინდა ილია მართლის საზოგადოების, სახალხო ფრონტისა და რუსთაველის საზოგადოების წევრები.

**გიორგი ქრისტესიაშვილი, ერედვის მკვიდრი:** მოგვეშველეთ, დიდი გასაჭირი გვადგას ქართველებს! ჩვენი სოფლები ოსთა გარემოცვაშია. მთელი ძალაუფლება ოსებს აქვთ ხელთ, ოსი ეროვნების მილიციის მუშაკები თვითონ გვესხმიან თავს. ოლქის, ქალაქის თუ რაიონის მილიციაში სულ ოსები არიან. ცხინვალში ვერ ჩავდივართ საქმეზე. მაღაზიაში ვმუშაობ, პროდუქტს არავინ არ გვაძლევს. სურსათით გორის რაიონი რომ არ გვეხმარებოდეს, შიმშილი მოგვკლავდა. დიდი მადლობა მათ ამისთვის.

ოსი მოსახლეობა შეიარაღებულია. დათარეშობენ სოფლებში, თუ დაგიჭირეს, ვაი შენი ბრალი. გუშინწინ ღამის პირველ საათზე სოფელ ხეითს დაესხნენ. ხალხმა გაქცევით უშველა თავს, გუშინ იგივე მოიმოქმედეს კეხვში.

**ლალი ცოტნიაშვილი, ერედვის მკვიდრი:** წუხელის ჩვენი თვალით ვნახეთ ფრისში სისხლიანი აკვანი. ოჯახის ერთადერთი შვილი, 9 თვის ბავშვი მოკლეს. პირველ იანვარს ფრიდონ ბორცვაძეს დაესხნენ თავს, რომელსაც მანქანით ცოლშვილი მოჰყავდა. სროლა აუტეხეს ვიგინდი ქრისტესიაშვილის მანქანასაც. თამარაშენში რომ 17 წლის ვეფხია თუთარაშვილი მოკლეს, ნათესავი იყო, ადგილზე ვტიროდით, სამძიმარზეც ვერ წავედით. ცხინვალში ბანკის თანამშრომლებს სცემეს, ყველა შეშინებული ჰყავთ. შეამოწმეთ, თუ რა მიზნითაა გამოტანილი ბანკიდან 40 ათასი მანეთი, რომელიც „ადამონ ნიხასს" გადასცეს.

**ლილი ბალიაშვილი, ცხინვალიდან:** ცხინვალში ჩემს შვილთან ერთად მოვდიოდი, რამდენიმე ოსმა შეურაცხყოფა მოგვაყენა, ერთმა შვილს რევოლვერი მიაბჯინა მკერდზე და სასხლეტს გამოჰკრა. მართალია, რევოლვერი გატენილი არ ყოფილა, მაგრამ რა დღეში ჩავვარდებოდი, წარმოიდგინეთ.

მე-8 პოლკის ჯარისკაცები მხოლოდ ოსების ინტერესებს იცავენ. ამას წინათ ბრონეტრანსპორტიორს ოსი მოქალაქე მართავდა. ყოველ ღამე სროლებია. როდესაც მილიციას საჩივრით მივაკითხავთ, წადით და გამსახურდიამ გიშველოთ, გვეუბნებიან.

**ჟუჟუნა კასრაძე, ცხინვალიდან:** ჩვენი ცხოვრება ცხინვალში აღარ შეიძლება. სულ შიშში ვართ. 23-ში თბილისიდან რომ ჩამოვიდნენ ქართველები, საჭმელი მოგვიტანეს, მშიერ ყმაწვილებს. ეს გაიგეს და აღარ დამედგომებოდა ცხინვალში, იძულებით ერედვაში გავიხიზნე. ახალი წელი ისევ ცხინვალში გავატარე. 2-ში ჩვენს ფანჯარას ესროლეს.

**მიხეილ ქრისტესიაშვილი, ერედვის მკვიდრი:** ერედვის რწმუნებული და სხვა შეიარაღებული ხალხი დავაკავეთ, იარაღი ჩამოვართვით და მილიციას ჩავაბარეთ, მაგრამ შემდეგ გამოუშვეს. ყველაფერს პატიობენ. ქემერტში ძმისშვილი მყავს. დაიჭირეს და სცემეს. ბლოკადაში ვართ. გვეუბნებიან, თქვენი მილიცია რომ წავა, მერე ნახეთო.

**ლიანა ზუბაშვილი, ერედვის მკვიდრი:** 25 ნოემბერს ჩემი მაზლი სევერიან ზუბაშვილი დაჭრეს. გორში ჩავიყვანეთ, ოლქის გარეთ, მაგრამ საავადმყოფოში ოსმა პერსონალმაც არ დაგვაყენა კარგი დღე. ცხინვალის რადიომ კი გამოაცხადა, ქართველებმა ოსი სევერიან ზუბაევი დაჭრესო.

**ლუბა ალობროვა-ვახტანგიშვილი:** მახსოვს, ბავშვი რომ ვიყავი, ცხინვალში სულ ქართველები ცხოვრობდნენ — მაჩაბლები, გუზალაძეები, ჭოველიძეები, ყაზახაშვილები, აბულაძეები, მინდიაშვილები, კასრაძეები; ებრაელებიც იყვნენ, სომხებიც. მერე მთიდან ოსები ჩამოსახლდნენ მასიურად, ცხინვალი რომ საქართველოა, ამას მტკიცება უნდა? მე სამი შვილი და 9 შვილიშვილი მყავს. ქმარი ომში დაიკარგა. შვილები ობლობაში მარტომ გავზარდე. ჩვენი კაცები სულ გზაზე არიან გასულნი, კომბლებითა და მუშტით გვიცავენ. თოფი გვქონდა და ამ ზაფხულს ჩამოგვართვეს, ქორა პლიევმა ჩამოგვართვა, მერე იარაღი იმათთან მიჰქონდა. ყოველღამ სროლაა.

**ლილი ბერუაშვილი, ერედვის მკვიდრი:** ჩვენ კი არ უნდა ჩამოვდიოდეთ აქ თქვენთან, თქვენ უნდა ჩამოხვიდეთ. 3 შვილის დედა ვარ. რომელ შვილს როდის მომიკლავენ, არ ვიცი. მეტი რა ძალა მაქვს, მეც მათთან ვდგავარ, ჯოხი მიჭირავს. აბა რა ვქნა, რითი დავიცვა ისინი? დღენიადაგ შიშში ცხოვრება შეიძლება? ჩვენი მთავრობა და მილიცია არ გვეხმარება. თქვენი აღარაფერი მწამს, თქვენი დაწერილისაც. ახლა საქმეა საჭირო.

**ცისანა ვახტანგიშვილი, ცხინვალიდან:** „სასწრაფო დახმარების" ბრიგადაში სანიტარი ვარ. ერთ-ერთი გამოძახებისას მე თვითონ ვნახე ოსების „თავდაცვის შტაბი", ქორწინების სახლში რომაა მოთავსებული. ნაცემი და ნაწამები ქართველები ჰყავდათ.

**ნათელა ბალიაშვილი, ცხინვალიდან:** ავად ვიყავი. ექიმი გამოვიძახე, ქართული გვარი რომ გაიგეს, არ მოვიდა, არც მეორე დღეს, არც მესამე დღეს. ბიბლიოთეკაში ვმუშაობ. მეუბნებიან, აქ ქართველებისათვის არ არის ადგილიო. ჩემი ხელით შევსებული ყველა ჟურნალი დახიეს, მითხრეს, არ დავინახოთ ქართულად ნაწერიო. ჩვენს ბინაში, სტალინის ქ. № 100-ში, ქართველების ყველა სარდაფი გატეხეს.

**გივი ბორცვაძე, ჟურნალისტი:** პრესას უნდობლობას ვუცხადებთ. სამხრეთ ოსეთის ოლქის შექმნა არასამართლებრივია და ის უნდა გაუქმდეს. არავინ კითხულობს, რატომაა, რომ ცხინვალის რაიონში მეტია ქართველობა, მაგრამ ფაქტობრივად საოლქო კომიტეტში, აღმასკომში ქართველები, ერთეული გამონაკლისის გარდა, არ მუშაობენ. ცხინვალში ველარ ჩავსულვარ, დამდევენ.

**ვახტანგ გვარამია, რესპუბლიკის საგამომძიებლო სამმართველოს უფროსის მოადგილე:** არასწორი საზოგადოებრივი აზრია შექმნილი, თითქოსდა დაზარალებულნი უფრო მეტნი არიან ოსები. ეს იმიტომ ხდება, რომ ქართველები არ მიმართავენ მილიციას და მათი დაზიანების ფაქტები არაა დაფიქსირებული...

**ხაპასუხო ხმები:** კი მაგრამ, ვის მივმართოთ, იქ თუ მივედით, უფრო დაგვიმატებენ. იქ კანონი არ არსებობს. მილიცია აქეთ გვცემს. ბერუაშვილის ოჯახს სწორედ მილიციელები დაესხნენ თავს. მათ ისევ მეზობელმა ოსებმა უშველეს. ქართულ მილიციას ძალა არა აქვს, იარაღი აყრილი აქვთ. მაიორი გია სანაკოევი, გაზაფხულზე ქართველებს რომ სცემდა და ქართულ ეროვნულ დროშებს რომ ხევდა, დღესაც მაიორის ფორმით დადის. შეიარაღებული ოსები რომ ჩაგაბარეთ, თქვენ რატომ გაუშვით? ესაა თქვენი დახმარება და ზომების მიღება? გორკომმა საველე საავადმყოფოს გახსნას დაგვპირდა, იქნებ ის რომ გახსნილიყო, ის ბავშვი კიდეც გადარჩენილიყო. არა გვაქვს მედიკამენტები. ეგ კი არა, გაზეთებსაც ვერ ვიღებთ. ყველაფერს აქვს საზღვარი. ჩვენი კატეგორიული მოთხოვნაა, რომ მთავრობამ შეაჩეროს ეს პროცესი, დაამყაროს მშვიდობა, ბოლოს და ბოლოს მიხედოს ქორწინების სახლში დაბანაკებულ ე. წ. „თავდაცვის შტაბს", რომელიცაა ყველაფერი უბედურების მოთავე და დააპატიმროს ბანდიტები. ქართველ და ოს მოპიკეტეებს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომ არავითარი გასროლა არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჯავიდან იყვნენ ოსები მანქანით რომ წამოვიდნენ სროლა-სროლით. არასწორი იწერება გაზეთებში.

რამდენი მოვითმინოთ.

ესაა დახმარება, ესაა სიტუაციის კონტროლი, ბავშვი მოკლეს.

რა გარანტიას გვაძლევთ!

ასე იყო 4 იანვარს. ჩვენ შევეცადეთ მაქსიმალური სიზუსტით გადმოგვეცა ძირითადი, რაც იქ ითქვა. სურათი რომ ნათელი იყოს, ალბათ ამას უნდა დავუმატოთ დამსწრეთა უკიდურესი აღშფოთება, ემოცია და ცრემლები.

ცხადია, საუბარს არც გაცხარება აკლდა, შესაძლოა ბევრი ფაქტიც დასაზუსტებელია, მაგრამ ერთი რამ ცხადია — ჩვენთან ის 150 ქართველი გაჭირვებამ მოიყვანა. დახმარებას გვთხოვდნენ, გარანტიებს ითხოვდნენ სახელმწიფოსგან, ჩვენგანაც. ჟურნალისტებსაც ხომ მიგვიძღვის შექმნილ მდგომარეობაში ბრალი. ზედმეტმა სიფრთხილემ — არავის ვაწყენინოთო, ქართველი სტუმართმოყვარეობის ტრადიცია არ დავარღვიოთო, — შედეგად აქამდე მიგვიყვანა, ვისაც როგორ მოესურვება, ისე ექაჩება ჩვენს მიწა-წყალს თავისკენ, მადაგაღვიძებულები აღარც ისტორიულ სიმართლეს დაგიდევენ და ასე საუკუნეებით გამტკიცებულ კეთილ მეზობლობას.

**პროვოკატორებმა, მათ, ვისთვისაც არაფერს ნიშნავს ისტორიული სიმართლე, ხალხთა საუკუნოვანი მეგობრობა და ურთიერთობანი, უფრო — მეტიც — საკუთარი ერის ნამდვილი, ხალასი ინტერესები, თავის მიზანს მიაღწიეს — დაიღვარა სისხლი, ადამიანთა სიცოცხლე შეიწირა ათწლეულების განმავლობაში რესპუბლიკის ხელმძღვანელთა უკუღმართად გაგებულმა ერთაშორის ურთიერთობებმა, არაგონივრულმა, დღემოკლე პოლიტიკამ, რითაც ისინი ცდილობდნენ „ინტერნაციონალური ოაზისის", ხალხთა მეგობრობის „ორიგინალური ქართული მოდელის" შექმნას. ამ ხნის განმავლობაში თაობები აღიზარდა ღვარძლის, ურთიერთუპატივცემულობის, ძულილის, დაუსჯელობის გარემოში. და ახლა ვიმკით ამ დიდი „ინტერნაციონალური პოლიტიკის" ნაყოფს.** ამ სიტყვებით 20 ივლისს ჩვენმა გაზეთმა გამოხატა თავისი პოზიცია აფხაზეთში მიმდინარე მოვლენების მიმართ. მას შემდეგ საკმაო დრო გავიდა და ახლა დიდად ნიჭიერი რეჟისორის მიერ დადგმული სპექტაკლის მეორე მოქმედების ოსური ვარიანტის მხილველნი ვართ, სპექტაკლისა, რომლის ერთ-ერთ ავტორად თამამად შეგვიძლია დავასახელოთ საკავშირო ჟურნალ-გაზეთები და ცენტრალური ტელევიზია.

ჯაჩუმება აღარ ეგების!

ჩვენს მიწას ჩვენვე უნდა მივხედოთ!

**მერაბ დავითიძე**

**P. S.** იმავე საღამოს სამაჩაბლოს ქართული მოსახლეობის წარმომადგენლობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისაკენ გაემართა.

# მამული, ენა, სარწმუნოება

ზეიმია საქართველოში და არა მარტო საქართველოში, ხვალ მსოფლიოს მართლმადიდებელი ეკლესია აღნიშნავს დიდ ბრწყინვალე დღესასწაულს — შობას, შობას უფლისა ღმერთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესსა.

ზუსტად 10 წლის შემდეგ ორიათასი წელი შესრულდება იმ დღიდან, რაც ღმერთმა ინდომა განკაცება. არაწმიდებათაგან შეჭირვებულ და დამძიმებულ კაცობრიობას კაცებრივი ხატით მოევლინა ნათელი ჭეშმარიტი, მხსნელი და მაცხოვარი ჩვენი — „ღმერთი ჭეშმარიტი ღმერთისაგან ჭეშმარიტისა". მოევლინა, რათა ადამის მოდგმა ეხსნა წარწყმედისაგან, **„რომელი შემომიდგეს მე, არა ვიდოდეს ბნელსა შინა, არამედ აქვნდეს ცხოვრება საუკუნო".**

იუდეაში, ბეთლემს, უზენაესის ნებით, იშვა ყრმა, რომელსაც უნდა ეტვირთა კაცთა მოდგმის ცოდვები, ჯოჯოხეთის ბჭეთაგან ეხსნა ცოდვილთა სულები. იშვა ნათლის სვეტი, ვისაც სულიწმინდით უნდა გაებრწყინებინა უმეცრების წყვდიადით შემოსილი, სულისწარმწყმედელ ვნებათაგან გათანგული ადამიანი.

აღმოსავლეთიდან იერუსალიმს მოსულმა მოგვებმა იროდი მეფეს და მთელ ქვეყანას ამცნეს, რომ იშვა „მეუფე ურიათა".

**„ვითარცა ესმა ესე იროდი მეფესა — შეძრწუნდა, და ყოველი იერუსალიმი მისთანა. და შეჰკრიბნა ყოველნი მღვდელმთავარნი და მწიგნობარნი ერისანი და იკითხვიდა მათგან: სადა უკვე შობად არს ქრისტე? ხოლო მათ ჰრქვეს მას: ბეთლემს ჰურიასტანისასა, რამეთუ ესრეთ წერილ არს წინასწარმეტყუელისა მიერ: და შენ ბეთლემ, ქვეყანა ეგე იუდასი, არა სადა უმრწემეს ხარ მთავართა შორის იუდასთა, რამეთუ შენგან გამოვიდეს წინამძღვარი, რომელმან დამწყსოს ერი ჩემი — ისრაილი..."** (მათე 2, 3-6).

იროდი მეფემ ლეგიონერები შეუსია ბეთლემს და **„მოსწყვიდნა ყოველნი ყრმები, რომელნი იყვნეს ბეთლემს და ყოველთა საზღვართა მისთა ,ორი წლითაგან და უდარესი"** (მათე 2,16). მანამ კი ...**„ანგელოზი უფლისა გამოუჩნდა ჩვენებით იოსებს და ჰრქვა: აღსდეგ და წარიყვანე ყრმაი ეგე და დედაი მაგისი, და ივლტოდე ეგვიპტედ და იყავ მუნ, ვიდრე გრქვა შენ, რამეთუ ეგულვების იროდის მოძიებად ყრმაი ეგე და წარწყმედად ეგე"** (მათე 2, 18). და დაჰყო იოსებმა ეგვიპტეში მანამ, სანამ უფლის ანგელოზმა არ ამცნო სიკვდილი იროდი მეფისა.

ეგვიპტით გამოსული იოსები დაემკვიდრა ნაზარეთს,



ღვთისმშობელო ქალწულო მარიამ, კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის, და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა, რამეთუ მაცხოვარი გვიშევ სულთა ჩვენთა.
ამინ

**მოვედ აღსრულებად...**

## „მე ვარ გზა და ჭეშმარიტება და ცხოვრება" (იოანე, 14, 6)

**„რათა აღესრულოს თქმული იგი წინასწარმეტყველისა მიერ, ვითარმედ ნაზარეთელ ეწოდოს"** (მათე 2, 23).

30 წლის ასაკში ჩვენი მაცხოვარი დაიმოწაფებს უბრალო ხალხის შვილებს და მოციქულებად გამოარჩევს მათ. მათი თანხლებით დადის სოფლიდან — სოფელში, ქალაქიდან — ქალაქში და უჩვენებს სასწაულებს — კეთროვანთ განსწმენდს და მკვდართა აღადგინებს, აცხადებს ახალ, ჭეშმარიტ სარწმუნოებას, თუმცა, როგორც თავად ბრძანებს, **„არა მოვედ დახსნად** (დარღვევად ძველისა სჯულისა — პ. ბ.), **არამედ აღსრულებად** (სრულყოფად — პ. ბ.) **ნაცვლად მოსეს მცნებისა — „თვალი თვალისა წილ, კბილი კბილისა წილ"**. ჰქადაგებს სრულიად ახალს, პოლარულად საპირისპიროს — თუ ვინმემ გცეს შენ მარჯვენესა ყვრიმალსა, მიუპყარ მეორეცა; თუ ვინმეს სურდეს პერანგი შენი, მიეც მას სამოსელი შენი; უკეთუ თვალი შენი გაცთუნებდეს, ამოიღე იგი და განაგდე შენგან, რამეთუ უმჯობესია, არ გქონდეს იგი, ვიდრე მთელი სხეულით შთავარდე გეენიასა; გიყვარდეთ მტერნი თქვენნი და აკურთხევდით მაწყევართა თქვენთა... და ასე დაუსრულებლად.

აი, ამ მცნებათა წიაღში იბადებოდნენ და იზრდებოდნენ ჩვენი წინაპარნი, ჩვენი მამა-პაპანი. მაგრამ აგერ თითქმის ორასი წელია, რაც ძნელბედობის ჟამი სუფევს საქართველოში. პარადოქსს ჰგავს, მაგრამ არ გახლავთ პარადოქსი; ურჯულოს ვებრძოდით ქრისტეს სჯულით და ღმერთი იყო ჩვენთან — ვიმარჯვებდით! მერე მოვიდა ერთმორწმუნე, გულში ჩაგვიკრა და დავმარცხდით, ღმერთი განგვიდგა — სარწმუნოება წაგვგვარეს!

ეს პარადოქსი კი არა, ბედისწერაა ჩვენი, ბუნებაა ქართული სულისა: ქართველი კაცის ძილს სიკვდილისფერი დაჰკრავს, სიფხიზლეს — სიცოცხლისა. ჩვენი შთანთქმა, დამარცხება სიყვარულს შეუძლია, სიძულვილს — არა! მადლობა უზენაესს, რომ მან ჩვენს მტერს არ მიჰმადლა ნიჭი სიყვარულისა, თორემ სულ-ხორციანად დავილუპებოდით. თქმულა: მოყვარე მტერი ათგზის მტერიაო...

მერე ჩვენმავე სისხლმა და ხორცმა მამული გაგვისხვისა და ჩვენივე ხელით გვანგრევინა წინაპართაგან დიდის რუდუნებით ნაგები ეკლესია-მონასტრები.

დღეს უჭირს საქართველოს, ძალიან უჭირს! მაგრამ ღმერთმა არ გაუჭიროს ისე, ბევრჯერ რომ გასჭირვებია... ჯერ იყო, ბარბაროსთა მიერ მოწყობილმა გენოციდმა შეგვჭამა, მერე უმადურმა და ურჯულო სტუმარმა ზურგში დანა ჩაგვცა, აქეთ აფსუებმა შეირცხვინეს თავი, ბოლოს კი სამაჩაბლოს ხიზანმა, ჩვენს უბეში გამოზრდილმა ოსმა გვიღალატა (ამ ოსურმა საქციელმა შეუძლებელია, ჩვენი სულმნათი მწერლები ალ. ყაზბეგი და მიხ. ჯავახიშვილი არ გაგვახსენოს).

ყოველივე ამის დავიწყება ძნელია, ერი კაცი როდია — მოკვდეს, წავიდეს და ამით მორჩეს ყველაფერი. ერს გრძელი, უწყვეტი მეხსიერება აქვს, თუკი ის უკვდავია, ჩვენი ერი კი უკვდავია, „რამეთუ ჩვენთან არს ღმერთი!" ეგ არის მხოლოდ, რომ უფალი გვცდის — რის მაქნისები ვართ, რას წარმოვადგენთ, ვჭირდებით თუ არ ვჭირდებით დედამიწას, ისტორიას და, საერთოდ, კაცობრიობას!?.

უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით მე ვულოცავ საქართველოს, ქართველ ხალხს დიდებულ დღესასწაულს — ქრისტეს შობას და ვუსურვებ კეთილდღეობასა და მშვიდობიან ცხოვრებას, დღეთა სიგრძეს, სიბრძნეს და, რაც მთავარზე უმთავრესია — ერთმანეთის მიმართ ჭეშმარიტად ქრისტიანულ სიყვარულს, მიმტევებლობას, ერთმანეთის გატანას, მხარში ამოდგომას, ერთი დროშის — ქართული ეროვნული დროშის ქვეშ დარაზმვას, ერთი ფიქრით — მომავლის საქართველოზე ფიქრით ცხოვრებას და მტერთა ზედა ძლევას და გამარჯვებას!

**ამინ!**

**თბილისის წმინდა ხამების ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი პავლე ბერიშვილი**

ავტორის თხოვნით ჰონორარი გადაირიცხება დემოგრაფიული საზოგადოების ფონდში.

# იესო და ქართველი

**ასეთ** საკითხზე მსჯელობისას კაცმა ღმერთის [illegible] უნდა სთხოვოს და მკითხველს შემწყნარებლობა. განსაკუთრებით მაშინ, თუ საზოგადოების რაღაც ყურადღების მისაპყრობს ჰპირდები. ხორციელი პატივი სალმრთო საქმესთან შეუთავსებელია. ქადაგებას უფლება ღვთისმსახურთ აქვთ, რამეთუ ისინი ქადაგებენ არა თავისი სახელით, არამედ ღმერთის სახელით, ერისკაცის ცოდვილი ეთიკა ცდუნებას უმეტესწილად ვერ უძლებს. როცა რაიმეს [illegible], ამით უნებლიეთ გვეუბნება, რომ ისეთი უნდა იყოთ, როგორიც მე ვარ, როცა რამე თვისებას იწუნებს, მკითხველს აფიქრებინებს, — აი, მე ვარ ასეთი.

წინამდებარე სტატიის ავტორსაც აწუხებს იგივე [illegible] — ხომ არ აცდუნებს ცდუნებამ მკითხველის გაკვირვებისათვის. კიდევ ერთხელ და ყოველთვის ვითხოვ პატიებას, თუ ასეთი გრძნობა დაეუფლება ვინმეს.

ამ სტატიის სათაურში მეორე სიტყვად, ალბათ, ველოდებით იმ სიტყვას, რასაც უნდა მოველოდეთ იესოს შემდეგ, ე. ი. ქრისტეს. როგორც ყველას კარგად მოეხსენება, იესო არის მაცხოვრის მიწიერი სახელი, იმ ამქვეყნიური არსებობის აღმნიშვნელი, რაც 33 წელს გაგრძელდა. ჩვენ, მართლმადიდებლებს, რომლებიც ვაღიარებთ იესო ქრისტეს ორბუნებოვნებას — კაც-ღმერთობას (დიოფიზიტობას), ბუნებრივია, ძლიერ გვაინტერესებს მაცხოვრის მიწიერი არსებობის ისტორიაც, ეს საკითხი პირველი საუკუნეებიდანვე დღემდე და მარადის იქნება ინტერესის საგანი.

მომეტებულ ადგილს დავუთმობთ ერთი ინგლისელი თეოლოგის თვალსაზრისს, რომლის კონცეფციას ვერ კი გავიზიარებთ, მაგრამ მრავალმხრივ საინტერესო [illegible]. ჩამბერლენი ამტკიცებს, რომ იესო ქრისტე სისხლით, ხორცით, ტომობრივი წარმოშობით არ იყო ებრაელი. იგი მხოლოდ სარწმუნოებრივად იყო ებრაელი (იუდეველი). იგი იყო გალილეველი. და როგორც კარგადაა ცნობილი, გალილეველნი, სადღაც ახლო აღმოსავლეთიდან გადმოსახლებული ტომი, გახლდათ [illegible] და [illegible] ხალხი. ქვემოთ ვრცლად მოვიტანთ მის ციტატებს. ცხადია, ქართველ მკითხველს არ მივცემთ იმის ილუზიას, რომ იოცნებოს, იესო ქრისტე და მისი წინაპარი საქართველოდან ხომ არ იყოო. მაგრამ ყოველ ქრისტიან ხალხს აქვს სურვილის უფლება, იესო ქრისტეს ღმერთკაცურ ბუნებასთან თავისი ეროვნული ნიშნების სიახლოვე ეძებოს.

ქრისტიანული იკონოგრაფია ვალდებულია არ აჰყვეს ცდუნებას და მაცხოვრის ხატი თავისი ეროვნული წარმოსახვის ნიშნებით არ დატვირთოს. ხატი არის დოკუმენტური სურათი ღვთისა და არა ხელოვანის ფანტაზიის მიერ შექმნილი სახე. ეს არის სახე, რომელიც თავისთავად ქმნილია და გამოეცხადა თავის მრევლს. მიუხედავად ამისა, დიდი იკონოგრაფიული კულტურის ხალხები თავიანთ ეროვნულ წარმოდგენებს მაინც ვერ აღწევენ თავს და, ალბათ, არც მაცხოვარი გაგვიწყრება ამის გამო. ეს სიყვარულისა და უფალთან მიახლოების შესაწყნარებელი გადახვევაა. რა თქმა უნდა, მკრეხელობაა მეტისმეტი სითამამე და ფანტაზიის აყოლა. ჩვენის ღრმა რწმენით ქართველი კაცი ძალიან ჰგავს იესო ნაზარეველს და მოგვიტევოს უფალმა ეს კეთილი სურვილი. ღრმად მწამს და საკმაოდ ანთროპოლოგიური ნიშნებიც მოიპოვება ამ სიახლოვისათვის. ვიმეორებ, ჩვენ იმას კი არ ვამტკიცებთ, ქრისტე იყო ქართველიო, არამედ იმას, რომ ქართველი ჰგავს ქრისტეს. დასახელებული წიგნიდან გალილეველთა ეთნოფსიქიკური მახასიათებელი ამის საფუძველს გვიქმნის. ავტორი, გარკვეული მიზეზებისა გამო, ტენდენციურია, როცა გალილეველთა (სარწმუნოებით ებრაელთა) ხასიათს უპირისპირებს იუდეველებს (სარწმუნოებით და რასობრივად ნამდვილ ებრაელებს). იესო ქრისტე თავისი ხალხის შვილია, მაგრამ არა მხოლოდ თავისი ხალხისათვის მოვლინებული. მისი მოძღვრების სათავეა ის წმიდა წერილი (ძველი აღთქმა) ებრაელ წინასწარმეტყველთაგან ქმნილი, რომელსაც ის ხშირად იმოწმებს. სხვა წიგნს იგი არც ასახელებს.

იესო ნაზარეველის ქართულ ხასიათთან სიახლოვის ძიების წყურვილი იქნებ იმანაც გამოიწვია — ქართველ ებრაელებსა და ქართველებს შორის რომ საოცარი სიახლოვე გაცხადდა მეოცე საუკუნის მიწურულში. ქართველ ებრაელებსა და ქართველებს ყოველთვის უყვარდათ ერთმანეთი, მაგრამ იგი განსაკუთრებით ცხადი ახლა გახდა. ხალხების დაძვრა თავიანთი მშობლიური მიწისკენ, რაც აგრეთვე ნაწინასწარმეტყველებია ბიბლიაში, ებრაელთა დაბრუნება აღთქმულ მიწაზე მორწმუნეთათვის რელიგიურად იკითხება — ვითარცა ნება უფლისა. ქართველებსა და ქართველ ებრაელებს შორის ურთიერთობა, ხალხთა მეგობრობის არანაირ მოდელს არ ემყარება, იგი განუმეორებელია და არაემპირიულად გასააზრებელი. მასში რაღაც ბიბლიური საიდუმლოება სუფევს.

იესო, როგორც ითქვა, ჩვეულებრივი ადამიანური სახელია, ფრიად გავრცელებული იუდეაში. წარმოშობით ეს სახელი მოდის ძველებრაულიდან (იეშუა, იეშუგა). ისიც მნიშვნელობრივად ნიშნავს ღმერთის ღვთაებრივს. ქრისტე ნიშნავს მხსნელს, მესიას, ღმერთს. ეს სიტყვა კი არსებობდა ებრაულში, მაგრამ არავისი სახელი არ გახლდათ. იგი მაცხოვარს ეწოდა როგორც ღმერთს. იესოს დროისათვის ასეთი სურათი გვაქვს: სამხრეთ პალესტინაში შედიოდა იუდეა, როგორც რომის პროტექტორატი. ჩრდილოეთ პალესტინას ეკუთვნის გალილეას ისტორიული მხარეც. ყველანი რომის იმპერიის ქვემდებარეა. გალილეველებიც სარწმუნოებრივად იუდეველები არიან. რომის იმპერიის ქვეშ იჩაგრება რიცხობრივად პატარა ხალხი, ებრაელი ხალხი, რომელმაც ღმერთი დაჰბადა. დამპყრობელს მაგარი მხედართმთავრები და გენერლები ჰყავთ, მაგრამ მესია, მხსნელი მას არ მოევლინება. ეს არის სალმრთო თანასწორობის უზენაესი კანონი, რომელიც აპოკალიფსის ჟამს ასეა ფორმულირებული: „წინანი უკან, უკანანი წინ!" ასე რომ, ნუ ვიჩქარებთ, საყვედურს — ღმერთო, ზოგს რომ ასე დიდმპყრობელად გააჩენ, ზოგს კი ტყვედ-მპყრობილად — საცნაურად შეიძლება გაცხადდეს ყოველივე. ზოგიერთის სასახლეს ზოგიერთის საპყრობილე სჯობს. ყოველ შემთხვევაში, რომში არ ჩამობრძანდებოდა ღმერთი. იგი გაცხადდა მრავალტანჯულ ხალხში — ებრაელ ხალხში. გალილეაში, ერთ პატარა დაბა-ქალაქ (ფაქტობრივად სოფელში) ნაზარეთში მოვიდა ახალი სულიერი სიცოცხლე კაცობრიობის.

მაგრამ ძნელი საცნობია ღმერთი კაცში გაცხადებული. ხშირად სტუდენტებს [illegible]: ქრისტე რომ რომელიმე თქვენგანში გაცხადდეს, თუ იცნობთ მას თქვენსავე ამხანაგს-მეთქი. აბა რა! — წამოიძახებენ ხოლმე. არა მგონია. მას, ალბათ, ისევ თორმეტიოდე კაცი თუ იცნობს. მას ისევე შეურაცხყოფენ და გააგდებენ თავისიანები თავისი სოფლიდან, როგორც იესოს ნაზარეთიდან. მას ისევე დაადგამდით ეკლის გვირგვინს, როგორც მისმა თანამედროვეებმა. ღვთის კაცის შუქი, როგორც სახარებიდან ჩანს, [illegible] მაინც [illegible] ხოლმე ხალხის ცნობიერებაში. როცა უკვე იესო ქრისტედ ჩანს, ცხადია, ჯერ [illegible] მთლად ეს არ სჯერა და ხალხი მაინც [illegible] იკითხავს — ეს ნაზარეთიდან არაა?! იკითხავს ისევე, როგორც ჩვენში იციან ხოლმე რომელიმე [illegible] სოფელს ან დაბას რომ დაასახელებენ, ცინიკური ფორმის შესაქმნელად. „ერთხელ იქ თავის თანამემამულეებს წმინდა წერილის ერთ ადგილს განმარტავდა. ეს ხდებოდა ნაზარეთში, მისი დაბადების ადგილას. ნაზარეველებმა იკითხეს: „ეს ის არაა, იოსების შვილი, აქ რომ დაიბადა და იზრდებოდა? (Гегель, Философия религии, Т. I, М., 1976, გვ. 42). ახლა ეს დიალოგი ადვილი წარმოსადგენია საქართველოს ყველა კუთხეში, ყველა დიალექტისა და კოლორიტის ნიშნით. „და როდესაც ნაზარეველებმა იგი გააძევეს ნაზარეთიდან, მას გაახსენდა ანდაზა, რომ არ არის წინასწარმეტყველი თავის მამულში" (ჰეგელი, იქვე).

ნაზარეთი მთის ფერდობზე ტერასულად გაშენებული ქალაქია, იერუსალიმიდან ორი-სამი დღის სავალზე. როგორც აღწერენ მის ეთნოგრაფიულ ყოფას ისტორიკოსები, თავი საქართველოში გეგონებათ. ანალოგიურად შეუძლია წარმოიდგინოს აგრეთვე ახლო აღმოსავლეთის ზოგიერთ ხალხს.

იესო ქრისტეს ებრაულ წარმოშობას, ცხადია, არ უარყოფს სახარება: იგია ძე დავითისა და აბრაამისა. ხშირად იწვევს კითხვას, — სულიწმიდისაგან შობილი კაც-ღმერთი როგორ არის შთამომავალი დავითისა და აბრაამისა? იოსები ხომ მისი ხორციელი მამა არ არის? იოსები ღმერთმა მიუჩინა მას მამად, იგი დაამტკიცა მის კანონიერ მამად. ეს სულისმიერი მამობა ქმნის იმ გვაროვნული მემკვიდრეობის უწყვეტ ჯაჭვს, ღმრთისგან ჩენილ დიდ ებრაელებთან რომ აკავშირებს იოსებს. სალმრთო ნება აკავშირებს იესოს დავით წინასწარმეტყველის დაბადებასთან. ორივენი ბეთლემში იშვნენ. ქართველი მეფეები იჩემებდნენ უშორეულეს მემკვიდრეობას დავითის ფესვთან. აქ ძნელია მტკიცების დოკუმენტების ძიება. აქ რწმენითი ქვეყანაა და, პირველ ყოვლისა, ჩვენ ის გვაინტერესებს — როგორ სწამდათ ჩვენს წინაპრებს. ეს რწმენა იყო მათთვის უფრო რეალობა, ვიდრე ემპირიული რეალობა. ასე რომ, ძალიანაც რომ მოვინდომოთ იესო ნაზარეველის მითვისება, ეს შეუძლებელიცაა და ფუჭი ფანტაზიორობა. მაგრამ, ვიმეორებ, სიახლოვის რწმენის გააზრებას თავისი საჭიროება აქვს.

მაშასადამე, ქრისტეს დროსათვის ებრაული ტომები, პროვინციები ყველანი რომის იმპერიას ექვემდებარებიან. იმპერია კი, მოგეხსენებათ, ყოველთვის იმპერია იყო. დაყოფა-დაქუცმაცების ფილოსოფია არც რომაელებს ესწავლებოდათ: „გალილეას და პერეას ჰყავდა ერთი საერთო ტეტრარხოსი მაშინ, როცა იუდეა, სამარია და იდუმეა ექვემდებარებოდნენ რომის პროკურატორს" (Гаустон Стюарт Чамберлен, Явление Христа, с. Петербург, 1912, გვ. 39).

მაშასადამე ტეტრარხოსი და პროკურატორი ორივე ნამესტნიკია. პარალელურად ებრაელებს მეფეც ჰყავდათ, მაგრამ ნამესტნიკისთვის უნდა ეცქირა თვალებში. მაშასადამე, სხვადასხვა რეგიონებად დაყოფილი სამთავროები, ერთმანეთს შორის ერთიანდებოდნენ სარწმუნოებით, მაგრამ ეთნოფსიქოლოგიური სიჭრელე აქაც იჩენდა თავს. მათ შინაგან და პოლიტიკურ ერთიანობას, ადვილად წარმოიდგენთ, როგორ შეუწყობდა ხელს იმპერია. ებრაელები, რწმენით არაებრაელებს წარმართებს ეძახდნენ. ასე რომ გაგულისხმებულად უნდა იყოს შერქმეული სახელწოდება — „გალილეა", რომელიც ებრაულიდან ქართულად ნიშნავს „გეჰილ ჰაგგოიმ" — „წარმართთა ოლქს". მაგრამ ეს არის, არა მართლა წარმართები, არამედ წყრომით შერქმეული სახელწოდება. „ქრისტეს დროსაც გალილეა იყო მოწყვეტილი იუდეასაგან. ასე რომ, მასთან მიმართებაში ეჭირა უცხო მხარის პოზიცია" (გვ. 39).

იოანეს სახარების მეოთხე თავი სრულ წარმოდგენას გვაძლევს, თუ რაოდენ განსხვავდებოდა წესაღმსარებლობა იუდეველებისა და სამარიელებისა (იგულისხმება ქრისტეს საუბარი სამარიელ დედაკაცთან). მათ შორის გაცილებით მწვავე ურთიერთობა იყო, მიუხედავად იმისა, რომ ერთი სარწმუნოება ჰქონდათ. ებრაელები მათ ერეტიკოსებს ეძახდნენ. ამგვარი განხეთქილების მომენტები თითქმის ყველა რელიგიას აქვს. „გალილეველთა ეროვნული ხასიათი აგრეთვე განირჩეოდა ებრაულისაგან. გადაშალეთ ებრაელთა ნებისმიერი ისტორია — ევალდი, გრეცი, რენანი — ყველგან თქვენ იპოვით, რომ გალილეველნი გაირჩეოდნენ პალესტინის ყველა სხვა მცხოვრებ ტომთაგან. გალილეველები იყვნენ ფიცხნი, ენერგიული იდეალისტები, საქმის ხალხი, რომთან ხანგრძლივ კონფლიქტებში ქრისტემდე და მის შემდეგ გალილეველები ყოველთვის იყვნენ მშფოთვარე ელემენტი, ადამიანები, რომელთა მოთვინიერება მხოლოდ სიკვდილს შეეძლო, მაშინ, როცა წმინდა სისხლის ებრაელთა მრავალრიცხოვანი კოლონიები რომსა და ალექსანდრიაში ბრწყინვალე ურთიერთობაში იყვნენ წარმართულ იმპერიასთან..." (გვ. 43).

აღფრთოვანებულია ავტორი გალილეველთა მეომრული სიმამაცით, თავისუფლებისადმი სიყვარულის დაუოკებლობით; ეს არის მეამბოხე ხასიათი — არც იმპერატორისა ეშინია და არც მისი გარნიზონისა: „შორეულ გალილეაში, ჯერ კიდევ კეისრის სიცოცხლეში, — ეზეკია გალილეველმა გაბედა აღემართა რელიგიური აჯანყების დროშა. მას მოჰყვა იუდა გალილეველი. მისი დევიზი ასეთი იყო: „ღმერთი არის ერთადერთი — მეუფე ჩვენი. სიკვდილი არარაობაა, თავისუფლება — ყველაფერი! შემდეგ გალილეაში გაჩნდა სიკარულთა (დანისტების) პარტია, რამდენადმე მსგავსი თანამედროვე ინდიური „ტუგებისა". იმათ მთავარმა ბელადმა მენახემმა ნერონის დროს გაანადგურა იერუსალიმის რომაელთა გარნიზონი..." (გვ. 44).

ვფიქრობთ ავტორი ტენდენციურია, როცა გალილეველი ქალის ხასიათს უპირისპირებს ებრაელი ქალის ხასიათს, იმ ხასიათს, რომელსაც განასახიერებს ივდითი და ესთერი. ჩვენ ეს ხასიათი, გალილეველი ქალისა, ებრაულსაც მოგვაგონებს და ქართულსაც. ასევე შეუძლია სხვა ეროვნების ქრისტიანმაც თავისი ხალხის თვისება ამოიკითხოს მასში: „გალილეველ ქალებზე არაერთგზის მოიხსენიება წმინდა წერილში: ისინი განთქმული იყვნენ მხოლოდ მათთვის ჩვეული თავისებური სილამაზით. პირველი საუკუნის ქრისტიანები გვიამბობენ მათ იშვიათ კეთილშობილებასა და წინდახედულებაზე სხვა სარწმუნოების აღმსარებელთა მიმართ, განსხვავებით ნამდვილი ებრაელი ქალების დამცინავი და სიძულვილით გამოხატული დამოკიდებულებისაგან" (გვ. 45). გალილეველები გამოირჩეოდნენ არამეულ ენაზე მოსაუბრე ხალხებს შორის ძლიერ განსხვავებული მეტყველებით, იმდენად, რომ მათ პირველსავე სიტყვაზე იცნობდითო.

„გალილეველებმა მოგვიანებით შექმნეს თავისებური რასა, რომელიც განირჩეოდა თავისი ძალითა და სიმამაცით, რაც მათ დაამტკიცეს ლაშქრობაში, რომელსაც მეთაურობდა სპარსი შარბარაზი და რომელმაც 614 წელს აიღო იერუსალიმი". (გვ. 44).

ჩამბერლენი მეტისმეტად აჰყვა თავისსავე ტენდენციურ მსჯელობას, რაც ასეთი სითამამით გაგვიცხადა: „ის, ვინც ამტკიცებს, რომ ქრისტე იყო ებრაელი, ის უვიცია —რამდენადაც ერთმანეთში ურევს რელიგიასა და რასას... რომელ რასას ეკუთვნოდა იგი? ამაზე პასუხი არ გვაქვს". (გვ. 48). ჩამბერლენის მტკიცებით, ქრისტე რელიგიითა და აღზრდის მიხედვით, უეჭველად ებრაელი იყო, მაგრამ ტომობრივად, ის არავითარ შემთხვევაში არ იყო ებრაელი". ჩამბერლენი ბუნდოვნად [illegible] მზერას ახლო აღმოსავლეთისკენ, ზუსტად კი ვერ გვეუბნება სადაურნი არიან გალილეველები:

„გალილეა და მისი მოსაზღვრე ოლქები, როგორც [illegible], იყო სისტემატურად კოლონიზებული ასირიიდან და როგორც ბიბლიიდან ჩანს, დიდი სამეფოების სხვადასხვა ნაწილებიდან, განსაკუთრებით ჩრდილოეთის მთიანი არეებიდან. ქრისტეს დაბადებამდე საუკუნეებით ადრე აქ, მათ გარდა, ჩამოასახლეს ბევრი ფინიკიელი და ბერძენი. ამ ფაქტის საფუძველზე სრულად შესაძლებელია, რომ გალილეაში შევიდა არიული სისხლი; თუმცა უეჭველია, აქ ხდებოდა სხვადასხვა რასის შერევა და უცხოელები დიდი რაოდენობით სახლდებოდნენ ნაყოფიერ გალილეაში... ამგვარად, ჩრდილოეთ პალესტინის მცხოვრებნი, სამარიიდან დაწყებული, გახდნენ სარწმუნოებით ებრაელები, თვით ისინიც კი, რომელთა ძარღვებში არ გვხვდება წვეთი ებრაული სისხლისა. მოგვიანებით იქ, სხვათაშორის, შესაძლოა მიმდინარეობდა წმინდა სისხლის ებრაელთა ჩასახლებაც". (გვ. 41).

რასობრივი კლასიფიკაციები ნაირ-ნაირია. ვფიქრობთ ყველაზე საინტერესოა ის, რომელიც დიდმა ჰეგელმა მოგვცა. მისი თვალსაზრისისათვის არასდროს არავის უწოდებია რასისტული. ეს კლასიფიკაცია არც ებრაულსა და კავკასიურ რასას აპირისპირებს ერთმანეთს.

„მხოლოდ კავკასიურ რასაში სული აბსოლუტურ ერთიანობაში მოდის თავის თავთან, — მხოლოდ აქ სული შედის სრულ წინააღმდეგობაში ბუნებრივი არსებობის პირობებთან, აღწევს თავის თავს თავის აბსოლუტურ დამოუკიდებლობაში, ამოსხლტება იქეთ და აქეთ მუდმივი რყევიდან, ერთი უკიდურესობიდან მეორისკენ, აღწევს თვითგანსაზღვრულობას, თვითგანვითარებას და ამით ახორციელებს მსოფლიო ისტორიას... პროგრესი ხორციელდება მხოლოდ კავკასიური რასის წყალობით" (**Гегель, Энциклопедия философских наук, философия духа, Т. 3. М., 1977**, გვ. 63).

კავკასიური რასა არ ნიშნავს მარტოოდენ კავკასიელებს, ის აღნიშნავს მთელ ევროპულ რასას. ფიზიოლოგ ბლუმენბახისა და კამპერის კლასიფიკაციას, რომელიც ძალიან გავრცელებული იყო აგერ, ჩვენს საუკუნემდე, ეფუძნებოდა ჰეგელის ანთროპოლოგიური პრინციპი. ეს არაა დიდი დიალექტიკოსის მიერ გაკეთებული ჩანაწერები თუ შთაბეჭდილებანი. იგი მას, არსებითად, ბუნებითი ნიჭიერების კლასიფიკაციის მნიშვნელობას ანიჭებს. თუმცა ჰეგელი კავკასიურ რასაში არჩევს „ორ ნაწილს—წინა აზიის მცხოვრებთ და ევროპელებს. ეს დაყოფა ახლანდელ დროში ემთხვევა მაჰმადიანებად და ქრისტიანებად დაყოფას" (იქვე, გვ. 64). ე. ი. იგი ახლო აღმოსავლეთის მაჰმადიანებსაც ამ რასის გარკვეულ ნაწილს მიაკუთვნებს, განსხვავებით შორეული აზიისაგან. თუმცა წმინდა ევროპელებთან შედარებით წინა აზიის პოლიტიკური ცხოვრებაც ვერ აღწევს დანაწევრებულ სახელმწიფოებრივ ორგანიზმად ქცევას, ნამდვილ სახელმწიფოებრივ ერთეულებად გაწევრებასო.

ჩვენ არ შევუდგებით თავის ქალას ფიზიოლოგიურ ანალიზს, მაგრამ ჰეგელი მას რასობრივი კლასიფიკაციის საფუძვლად მიიჩნევს. ეს ფიზიოლოგიური პრინციპი, ძირითადად, ასეთია: [illegible] (ჰეგელი, იქვე, გვ. 61). ახლა ვნახოთ, პიროვნულად როგორ ახასიათებს იესოს ჩამბერლენი. იგი ვრცელ შეპირისპირებით ანალიზს ახდენს ბუდასა და ქრისტეს შორის. ბუდას იგი თვლის უდიდეს ღვთაებრივ მოვლენად, ლამის ქრისტეს გაუტოლებს, მაგრამ ქრისტე დასახელებულ ავტორს უფრო დიდ მოვლენად მიაჩნია, რადგან ქრისტე არ გაურბოდა მიწიერ ცხოვრებას, პირიქით, აკურთხებდა მას. ქრისტეს ავტორი გვიხატავს ლამის ასკეტიზმის მგმობელად. ცხადია, ეს ასე არაა, მაგრამ ერთი რამ საყოველთაოდაა ცნობილი, რომ ქრისტე არ იყო ნათლისმცემელივით მკაცრი ასკეტი. ყოველ შემთხვევაში ასკეტიზმი თვითმიზანი არაა. ასკეტიზმი საშუალება სიყვარულის მისაღწევად. ე. ი. მიზანი არის სიყვარული და არა სხეულებრივი თვითგვემა. „რელიგიის მრავალი შემქმნელი თავის თავსა და თავის მოწაფეებს უწესებდა გვემას, სხეულისადმი მიმართებაში, ქრისტე კი — პირიქით, იგი, განსაკუთრებით ხაზს უსვამს, რომ არ მარხულობდა, როგორც იოანე, არამედ ცხოვრობდა ისე, რომ ადამიანები მასზე ამბობდნენ: „აი კაცი, რომელსაც უყვარს პურის ჭამაც და ღვინოც" (გვ. 25). ეს მართლა ქართველივით დაგვიხატა იესო ავტორმა, მაგრამ, როცა ქრისტე გვეუბნება „სვით ღვინო", დალიეთ ღვინო, ვითარცა სისხლი ჩემი, ეს არ ნიშნავს სიმთვრალისადმი მის შემწყნარებლობას. მაგრამ ავტორი სწორია, რომ ქრისტე არ არის სუსხიანი კანონმდებელი, მკაცრი ადმინისტრატორი. იგი მოვიდა სიყვარულისა და მიტევებისათვის. ყოველ ცოდვილს აძლევს შანსს, ჯოჯოხეთიდან ამოვიდეს მონანიების ძალით. მაგრამ ეს მონანიება არ არის უფროსის წინაშე ჩვეულებრივი ბოდიში მაგვარი რამ. ამისთვის სულის უმძაფრესი წყურვილი და ღვთისადმი ლტოლვის ნიჭია საჭირო: ქრისტე, დასახელებული ავტორის თქმით, მონაწილეობს „საქორწინო ნადიმებში, ქორწინებას აცხადებს სალმრთო წმინდა განწესად, ხოლო სხეულის ცოდვებს განსჯის ისე შემწყნარებლურად, რომ თვით მრუში ქალისათვის ვერ პოულობს შეჩვენების სიტყვებს" (გვ. 25).

ერთი სიტყვით, ქრისტეს ადამიანური მხარე დასახელებულმა ავტორმა მეტისმეტად გაათბო, ისე რომ, ასკეტიზმი ლამის განდევნა. მაგრამ, ქრისტე როგორც მესია, მხსნელი მოვიდა მიწიერ არსებად იმიტომ, რომ თავისი გაადამიანურებით გაეზიარებინა ადამიანის ჭირი და ლხინი. ესაა მესიანიზმის არსი. ავტორი, მართალია, როგორც ვთქვით, ტენდენციურია, მაგრამ [illegible] პოულობს მასში ადამიანურს. და თუ ქართველის ხასიათს ბევრი რამ გვაგონებს, ეს უწინარესად, ისაა, რომ ამქვეყნიური სიცოცხლე ქართველისათვის დიდად ფასეულია. იესოს ჰქონდა შესანიშნავი იუმორი, იყო თანამგრძნობელი და არა დამსჯელი. იესო ქრისტემ ლამაზი სული შთაჰბერა კაცობრიობას, ქართველ ხალხს საოცარ იმედსა და ძალას აძლევდა შობის დღესასწაული, როცა იესო ქრისტე მოვიდა ადამიანთა ცოდვების გამოსასყიდად, ადამიანის საშველად. ქართველ ერს სწამს მხსნელი ძალისა. იდიდოს აწ და მარადის.

**ვახტანგ გოგუაძე**



**და შვა ძე თავისი, პირმშო, შეახვია და მიაწვინა იგი ბაგაში (მათე, 2,1)**

# სტუდენტთა აზრით

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში (380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14) მოქმედებს სოციოლოგიური ლაბორატორია, რომელშიც მუშაობენ სოციოლოგიის სპეციალობის სტუდენტები და ასპირანტები.

1989 წლის 26 დეკემბერს ლაბორატორიამ ჩაატარა უნივერსიტეტის სტუდენტების ექსპრეს-გამოკითხვა.

გამოკითხვის მიზანი იყო უნივერსიტეტის სტუდენტების დამოკიდებულების გარკვევა 1989 წლის 24 დეკემბერს სსრკ სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე მიღებული გადაწყვეტილებებისადმი.

როგორც ცნობილია, ამ დღეს ყრილობამ 9 აპრილს მომხდარი ტრაგედიის გარემოებათა შემსწავლელი კომისიის შედეგებთან ერთად, მოისმინა სამხედრო პროკურორის გამოსვლა. ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება ტელევიზიით არ გადაეცათ ყრილობის მუშაობის ის ნაწილი, რომელიც ეხებოდა 9 აპრილის ტრაგედიის გარემოებათა განხილვას.

ყრილობის დადგენილება გამოქვეყნდა პრესაში, გადაიცა ტელევიზიით და რადიოთი.

ამ მოვლენათა გათვალისწინებით, თბილისის უნივერსიტეტის სოციოლოგიურ ლაბორატორიაში დამუშავდა კითხვარი. გამოიკითხა თბილისის უნივერსიტეტში შემთხვევით შერჩეული 100 სტუდენტი.

ეს მეთოდი საშუალებას გვაძლევს 95%-ის სიზუსტით ვამტკიცოთ შემდეგი: მთელი უნივერსიტეტისათვის რომ გამოგვეკითხა, გადახრა მიღებული პასუხებიდან არ იქნებოდა 2%-ზე მეტი.

გამოკითხვის შედეგები ასეთია:

1. უნივერსიტეტის სტუდენტების 87% თვლის, რომ ყრილობის გადაწყვეტილება, ტელევიზიით არ გადაეცათ ყრილობის მუშაობის ის ნაწილი, რომელიც ეხებოდა 9 აპრილის ტრაგედიის გარემოებათა განხილვას, იყო მცდარი.

2. უნივერსიტეტის სტუდენტების 86%-ის აზრით ყრილობის გადაწყვეტილება დღის წესრიგში შეტანილიყო სამხედრო პროკურორის გამოსვლა, იყო მცდარი.

3. უნივერსიტეტის სტუდენტების 66% თვლის, რომ ასეთი საკითხების (იგულისხმება 9 აპრილის ტრაგედიის გარემოებათა განხილვა) შესწავლა უნდა ხდებოდეს საქართველოს უზენაეს საბჭოში.

4. უნივერსიტეტის სტუდენტების 57%-ის აზრით ყრილობის მიერ მიღებული დადგენილება, რომელიც თბილისის ამბებს ეხებოდა, არის უსამართლო.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უნივერსიტეტის სტუდენტების 25%-ს უჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, რაც ალბათ იმაზე მეტყველებს, რომ ინფორმაცია კვლევის ჩატარების მომენტისათვის არასაკმარისი იყო.

5. უნივერსიტეტის სტუდენტების 60% თვლის, რომ ყრილობისა და უმაღლესი საბჭოს მუშაობა ანტიდემოკრატიულია და მათი გადაწყვეტილებები არ შეიძლება საქართველოს ინტერესებს შეესაბამებოდეს.

**მხოლოდ 17%-ს მიაჩნია, რომ ყრილობისა და უმაღლესი საბჭოს მუშაობა არადემოკრატიულია, მაგრამ მათი გადაწყვეტილებები ზოგჯერ შეიძლება საქართველოს ინტერესებს შეესაბამებოდეს.**

გარდა ზემოთ ჩამოთვლილ პროცენტებში გადაყვანილი შედეგებისა, კითხვარებში სტუდენტებს გამოთქმული აქვთ შემდეგი განსაკუთრებული გამონათქვამები:

**სსრკ სახალხო დეპუტატთა ორივე ყრილობა კარგად გათამაშებული სპექტაკლებია. ჩემი აზრით, დეპუტატების ის მცირე ნაწილი, რომლებიც მართლა საქმის საკეთებლად არიან მოწოდებული, იჩაგრებიან.**

**ყრილობის მიერ მიღებული დადგენილება, რომელიც თბილისის ამბებს ეხებოდა, არის ნაწილობრივ სამართლიანი.**

**პროკურორის გამოსვლა აუცილებლად ტენდენციური იქნებოდა, ეს ყველასათვის ცხადი იყო.**

**სამხედრო პროკურორის გამოსვლამ წარმოაჩინა სამხედრო უწყების ნამდვილი სახე.**

სოციოლოგიური გამოკვლევისას არ დასმულა კითხვა იმის შესახებ, თუ რამდენად მართებულია ის, რომ 9 აპრილს მომხდარი ტრაგედიის გარემოებათა შემსწავლელი კომისია გამოიყო სსრკ უმაღლეს საბჭოში, თუმცა ამ საკითხებზე ერთი მოსაზრება მაინც გამოითქვა:

**უნდა შეიქმნას საერთაშორისო იურისტების საგამომძიებლო ჯგუფი.**

# ქართული პარადოქსები

ნება მომეცით შეგახსენოთ 22 დეკემბრის „მოამბის" ერთი მოულოდნელი „გადახვევა": — მაშინ როცა, საკავშირო ტელევიზიის მეორე არხზე პარალელურად გადაიცემოდა სახალხო დეპუტატთა II ყრილობის ვიდეო-დღიური, ჩვენი ტელევიზიის ხელმძღვანელობის სწორი გადაწყვეტილებით, დროებით შეწყდა გადაცემა და ყრილობაზე ქართველი დეპუტატის გამოსვლა შემოგვთავაზეს. ასე რომ, ამ ორიგინალური გადართვის გამო მადლობის მეტი რა გვეთქმის. ადვილი წარმოსადგენია რა დაძაბული მოლოდინით ელოდა ყოველი ქართველი ტელემაყურებელი ამ გამოსვლას. იმედიც არ გაცრუებიათ — ბატონმა თენგიზ აბულაძემ მისთვის ჩვეული გაბედულებით ილაპარაკა უმძაფრეს საკავშირო პრობლემებზე, განსაკუთრებით კი, როგორც მოსალოდნელი იყო, ჩვენი რესპუბლიკის მეტად მტკივნეულ საკითხებს გაუსვა ხაზი... და თუმცა მან ერთპიროვნულ კაპიტულაციას მოაწერა ხელი თავგასული სამხედროების წინაშე, ბოლოს მაინც გამარჯვებული დარჩა, რამეთუ ხილთ ეპყრა ყველაზე დიდი იარაღი — სიმართლე! ამიტომ, ბუნებრივია, მართლაც სუნთქვაშეკრული ვაანალიზებდით ქართველი დეპუტატის ყოველ სიტყვას და ამასთანავე თავისუფლებისათვის მებრძოლი რესპუბლიკისადმი აგრესიულად განწყობილ დარბაზის რეაქციასაც ვადევნებდით თვალს.

და აი, მას შემდეგ, რაც დეპუტატმა მთელ მსოფლიოს (ყრილობას კი ნამდვილად მთელი პლანეტა უსმენდა!) კიდევ ერთხელ შეახსენა ლენინ-სტალინის დანაშაულებრივი მემკვიდრეობა, რომელიც დღესაც საკმაოდ აქტიურად და მიმიკრიულად მოქმედებს, იმავე წუთში (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) როგორც კი „მოამბე" ჩაირთო, ნამდვილად გულზეშემოსაყრელად გაისმა დიქტორის პირველივე ფრაზა: „დღეს კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეში გაიმართა..." და ა. შ. რბილად რომ ვთქვათ, ქართული პარადოქსიც ეგაა — ერთი ქართველი რომ ყულფში თავის გაყოფის ფასად მთელი მსოფლიოს გასაგონად გმობს „ბოროტების იმპერიის" გადმონაშთებს, მეორე ქართველი არა და არ იშლის იგივე სტალინური რეჟიმის ნაანდერძევ ანაქრონიზმს — „კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეს"!

ჩვენს კომკავშირელებს თუ მართლა უნდათ დაკარგული პრესტიჟის აღდგენა, პირველ რიგში ისტორიულ შავნაბადას ამ უწმაწურ პოლიტიკურ „კლიჩკას" მოაცილებდნენ!

არადა ხომ ფაქტია, რაც უფრო დრო გადის, მით უფრო მეტი და მეტი ხალხი მოითხოვს ისტორიული ტოპონიმის აღდგენას.

საილუსტრაციოდ გთავაზობთ კიდევ ერთ დოკუმენტს, რომელსაც ამჯერად 50 კაცი აწერს ხელს.

**ამირან კალაძე**

## საქართველოს მწერალთა კავშირს

**ასლები:**
**კიროვის რაიონის აღმასკომს, საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტს, გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" რედაქციას**

**თელეთის მოსახლეობა ითხოვს თელეთის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეს გადაერქვას სახელი და ეწოდოს ისტორიულად და ტერიტორიულად შესაფერისი სახელი „შავნაბადა".**
**თელეთის მოსახლეობის სახელით ხელს ვაწერთ:**

1. [illegible]
2. [illegible]
3. [illegible]
4. [illegible]
5. [illegible]
6. [illegible]
7. [illegible]
8. [illegible]
9. [illegible]

**სულ ორმოცდაათი ხელმოწერა.**

# კინომოყვარულთა ფესტივალი

გასული წლის 21-22 დეკემბერს თბილისში, კინოს სახლში ჩატარდა ხალხური შემოქმედების III ფესტივალის პროგრამით გათვალისწინებული მოყვარულთა ფილმების დათვალიერება-კონკურსი, რომელიც მოაწყო საქართველოს პროფსაბჭომ, ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს კულტურის სამინისტრომ და კინემატოგრაფისტთა კავშირმა.

დათვალიერება-კონკურსში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონების, ქალაქების კინომოყვარულები. სულ ნაჩვენები იქნა 22 მხატვრული და დოკუმენტური ფილმი.

კონკურსის ჟიურის თავმჯდომარე არ ჰყოლია. ამ საპატიო და პასუხსაგები მისიის შესრულებაზე ქალბატონმა ნანა ჯორჯაძემ მოკრძალებული უარი განაცხადა და ამჯერად, მისი როგორც ჟიურის თავმჯდომარის დებიუტი არ შედგა. მან ჟიურის წევრებს შესთავაზა თანაბრად გაენაწილებინათ მსაჯულის მძიმე ტვირთი და ეჩვენებინათ დემოკრატიის ძალა. მართლაც კონკურსზე დაწესებული ყველა პრიზი და პრემია ღირსეულებს გადაეცათ. როცა ჩვენ ქალბატონ ნანას ფესტივალის შესახებ თავისი აზრის გაზიარება ვთხოვეთ, უკვე ორჯერ უარი უხერხულად მიიჩნია და...

**ნანა ჯორჯაძე — კინორეჟისორი:** მე ნამდვილად არ მოველოდი, რომ ფესტივალი ასე სერიოზული იქნებოდა. მოყვარულებმა მეტად მრავალფეროვანი და ემოციურად დატვირთული პროგრამა წარმოგვიდგინეს. აქ ვნახე ძლიერი, საოცარი დოკუმენტური მასალა, იმდენად საინტერესო, რომ დაღლა საერთოდ არ მიგრძვნია. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი ქართველების კინემატოგრაფიულ ნიჭში. განსაკუთრებით მახარებს ჩვენი ბავშვების აზროვნების, თვალთახედვის სიღრმე, ერის ტკივილის, ჩვენი დღევანდელობის ასეთი მძაფრი შეგრძნება.

დღეს, როცა ქართულმა პროფესიულმა კინომ ასეთ დიდ წარმატებებს მიაღწია, ჩვენ თითქოს დაგვავიწყდა მოყვარულთა კინოს არსებობა და მიხარია, რომ მან ასე თამამად შეგვახსენა, რომ იგი არსებობს და არა მარტო არსებობს, არამედ საინტერესო სიცოცხლით ცხოვრობს. მე ცოტა მერიდება კიდეც, რომ მას წლების მანძილზე ასე მოვაკელით ყურადღება და მზრუნველობა, როდემდე შეიძლება მხოლოდ ენთუზიაზმზე მუშაობა? მე მინდა მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც ამ კონკურსში მიიღო მონაწილეობა. კინომოყვარულთა მუშაობა ხომ საყვარელი საქმისათვის ნამდვილი თავდადების მაგალითია. მათ უამრავი პრობლემა აქვთ გადასაჭრელი. მათი მოგვარება აუცილებელია, თუმცა, მე ვფიქრობ, ამაზე უმჯობესია ამ კონკურსის ერთ-ერთ ორგანიზატორს ბატონ ჰენრის მოუსმინოთ.

**ჰენრი კაველიძვილი — კინორეჟისორი, პროფსაბჭოს კინომოყვარულთა კლუბ-ლაბორატორიის ხელმძღვანელი:** კონკურსში თუ ამდენი ფილმი მიიღებდა მონაწილეობას, ჩვენ ნამდვილად არ გვეგონა, რადგან საქართველოში მათ ელემენტარული პირობებიც კი არა აქვთ შექმნილი მუშაობისათვის. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ერთადერთი კინოლაბორატორია, რომელშიც კინომოყვარულები ფირებს ამუშავებდნენ, იყო კინოკავშირის კინოპროპაგანდის ბიუროს ლაბორატორია, და ისიც ამ სამი წლის წინათ დაიხურა. კინომოყვარულები ფირებს ხელით ამჟღავნებდნენ, ეს კი ცხადია მოქმედებს ფირის ხარისხზე. ამაში კონკურსზე ნაჩვენები ფილმებითაც დავრწმუნდებით. მარტო ენთუზიაზმზე დაყრდნობით შორს ვერ წავალთ. ვერ იქნა და ვერ მოხერხდა საქართველოს კინომოყვარულთა საზოგადოების ჩამოყალიბება. არადა საქართველოში ძალზე ნიჭიერი კინომოყვარულები გვყავს.

საქართველოს პროფსაბჭოს კლუბ-ლაბორატორიას, რომელიც პროფკავშირთა კულტურის სასახლეშია მოთავსებული, ჯერ-ჯერობით პირობითად თუ ვუწოდებთ ამ სახელს. მართალია, როგორც იქნა შევიძინეთ საჭირო აპარატურა-მოწყობილობა, მაგრამ სათანადო შტატების უქონლობის გამო ვერ ვმუშაობთ, სულ ცოტა 20-25 მუშაკი მაინცაა საჭირო. კინომოყვარულს უნდა ჰქონდეს საშუალება, რომ, დაწყებული სასცენარო გეგმიდან, ფილმი დასრულებული გაიტანოს სტუდიიდან. ამის შესახებ ჩვენ საუბარი გვქონდა საქართველოს პროფსაბჭოში, კინოკავშირში, ვიმედოვნებთ, რომ დაგვეხმარებიან და ჩვენი კლუბ-ლაბორატორია მალე კინომოყვარულთა ცენტრალურ სტუდიად იქცევა. ქართველი კინომოყვარულები რომ ამას იმსახურებენ, ამაში ფესტივალზე წარმოდგენილი ფილმების მხატვრული დონით, სიუჟეტის მრავალფეროვნებითა და თემების აქტუალობითაც დავრწმუნდით.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და გაცნობოთ, რომ 1989 წლის ზაფხულში გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ბადენ-ბადენში გაიმართა უნიკას (მსოფლიო კინომოყვარულთა საერთაშორისო კომიტეტი) საერთაშორისო ფესტივალი და კონგრესი. აქვე გადაწყდა, რომ შემდეგ ფესტივალს 1991 წლის სექტემბერში უმასპინძლებს თბილისი. სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ ფესტივალის ჩატარების ადგილის შესარჩევ კონკურსში ჩვენ საკმაოდ სახელოვანი კონკურენტები ჩამოვიტოვეთ უკან. სასიხარულო და ამავე დროს მეტად საპასუხისმგებლოც, ფესტივალში მონაწილეობის სურვილი მსოფლიოს ბევრმა ქვეყანამ გამოთქვა. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ რესპუბლიკის პროფსაბჭო, საქართველოს კინოკავშირი მხარს დაგვიჭერს, დაგვეხმარება და ფესტივალს ისე ვუმასპინძლებთ, როგორც ეს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ საქართველოს შეჰფერის. მსოფლიოს კინომოყვარულთა მოძრაობაში აქტიური ჩაბმა ჩვენს სამშობლოს ბევრ კეთილ და ერთგულ მეგობარს შესძენს.

**საქართველოს პროფსაბჭოს პრეს-ცენტრი.**

**P. S. მოგვიანებით ბატონმა ჰენრიმ გვაცნობა, რომ 1990 წლის 26 იანვარს შედგება საქართველოს კინომოყვარულთა საზოგადოების დამფუძნებელი ყრილობა. რესპუბლიკური საზოგადოების შექმნა დიდად შეუწყობს ხელს კინომოყვარულთა საქმიანობას.**

**მედეა აბესაძე,**
**კინორეჟისორი.**

# ზეიმი სტუდქალაქში

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური ქალაქი აფერადებული შეხვდა საახალწლო კარნავალს, რომელიც სტუდსაბჭოს ინიციატივით გაიმართა. ელავდა ნაძვის ხე და ახალგაზრდებს საზეიმოდ იწვევდა. საქართველოზე მღეროდნენ სტუდენტები, სამშობლო იყო ამ საზეიმო წუთებშიც მათი ოცნებისა და ფიქრის საგანი. კონკურსსაც „სამშობლომცოდნეობა" ერქვა. აზრიანი პასუხებით გამოირჩეოდნენ მარინე ყაულაშვილი, ნატო გუბელაძე, ელისო ირემაძე, ია ვერულაშვილი...

კარნავალის ფინალური აკორდი აუქციონი იყო, სცენაზე მიიწვიეს ყველაზე თამამი და გულადი ვაჟები. კონფერანსიემ გამოაცხადა: იყიდება ცამეტი ვაჟკაცი, მათი დამოუკიდებლობა მხოლოდ გოგონებს შეუძლიათ, თანხა კი დემოგრაფიულ ფონდში გადაირიცხება.

გოგონებმა ძალიან გამოიდეს თავი და ყველა მამაკაცი გამოისყიდეს. პირველ ტურში ყველაზე „ძვირადღირებული" აღმოჩნდა კობა კუხალაშვილი, მეორე ტურში კი გოჩა ფანჩვიძე, რომელიც საკუთარმა მეუღლემ დაიხსნა.

...დილხანს ისმოდა სტუდენტურ ქალაქში ქართული სიმღერა, ლექსი, დასასრულს კომპეტენტურმა ჟიურიმ მაგიდებს შორის გამარჯვებული გამოავლინა და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვა.

**ინგა ვაშაყმაძე,**
**თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი.**


1



2


3


4


5


6


7


8

# დროა მივუჩინოთ ბინა

ფოტო შეჩერებული წამია, იმ წამთა ჯამია დრო, სიცოცხლის ნაწილი, ცხოვრება, რაც თავისთავად ისტორიის კუთვნილება ხდება თანდათანობით, ამიტომ საოჯახო ალბომებში მომწყვდეული ფოტოები ბევრ საგულისხმო, საინტერესო, უნიკალურ ფაქტებზე მოგვითხრობენ და თითქოს ლამობენ ტყვეობიდან თავის დაღწევას, მზრუნველ ხელს, საჯაროდ გამზეურებას და ამეტყველებას მოელიან.

გასულ წელს, მსოფლიო ფოტოგრაფიის 150 წლისთავის აღნიშვნის დღეებში, მართლაც შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს თელაველებმა. სარაიონო კულტურის სახლში გაიხსნა თელაველი ენთუზიასტი კოლექციონერის მიერ მოძიებული ფოტოების გამოფენა. აქ წარმოდგენილი უნიკალური მასალა გვთავაზობს ძველი, განუმეორებელი, ელენე ახვლედიანისეული თელავის სურათებს, ფარდას ხდის ბურუსით მოცულ ბევრ ფაქტს, თვალნათლივ გვიჩვენებს თელავში მრეწველობისა და კულტურის, განათლების და მომსახურების დარგთა აღორძინებას, უბრუნებს თელავს იმ ნათელ სახეებს, ვინც დააკლდა ქალაქს, ვინც თავისი სიტყვა თქვა ამა თუ იმ სფეროს, ყოფისა თუ ცხოვრების წინსვლის საქმეში...

შთაბეჭდილებათა წიგნში ბევრია აღფრთოვანებული სიტყვა, მაგრამ მთავარი სურვილი ერთია, ამ გამოფენამ დაიმკვიდროს მუდმივი ადგილი თელავში, რათა გაგრძელდეს მისი შემდგომი შევსება-გამდიდრება იმ ფოტომასალით, რომელსაც უხვად გვთავაზობენ თელავის, მისი რაიონის მკვიდრნი, თუკი უბინაობა ხელს არ შეუშლის ამ საქმის შემდგომ დამკვიდრება-წინსვლას.

აღნიშნულ საკითხზე არა ერთი კომპეტენტური წინადადება დააყენა გაზეთმა „ალაზნის განთიადმა“, მაგრამ კონკრეტულად საქმე იგვიანებს, გამოფენა გრძელდება, ექსპონატების შევსება კი შეყოვნებულია, რადგან ერთი ადამიანის ძალ-ღონე და ენთუზიაზმი ამას ვერ გასწვდება. მას საერთო პატრონი უნდა გამოუჩნდეს, თანაც ისეთი, რომელმაც შესანიშნავად იცის იმ დიდი სიკეთის ფასი, რასაც ქალაქის სიყვარული ჰქვია და რამაც ეს საშვილიშვილო, შრომატევადი საქმე წამოაწყებინა თელაველ მოქალაქეს, თავის ქალაქზე უზომოდ შეყვარებულ გივი დათიშვილს.

**ნუნუ მატარაძე.**

**სურათები თელავის სარაიონო კულტურის სახლის დარბაზიდან.**

**№ 1. 1930 წელი. ისააკ ტორი,** თელავის ხარაზთა კოოპერატიული ამხანაგობა „იმედი“.

**№ 2. ვასილ როინაშვილის** ფოტო. მარცხნიდან პირველი ზის ალექსანდრე სულხანიშვილი — „ყურბანა“. ცხოვრობს ამერიკაში — 96 წლის, რომელმაც დაწერა წიგნი „მოგონება ქაქუცა ჩოლოყაშვილზე“. მარცხნიდან მესამე — ქაქუცა ჩოლოყაშვილი.

**№ 3. ვასილ როინაშვილი** — უცნობნი.

**№ 4. 1930 წელი, ვასილ როინაშვილი** — თერძების ამქრის სალხინო ბალი.

**№ 5, № 6, № 7. ისააკ ტორი** — თელავი, 1950 წ.

**№ 8. 1896 წელი, დიმიტრი ერმაკოვი** — ძველი თელავი.

# იჩქარეთ

**საქართველოს ტელევიზიის მუსიკალური პროგრამების მთავარმა რედაქციამ გადაწყვიტა წელიწადში სამჯერ ეთერში გადასცეს ახალი სატელევიზიო გადაცემა**

## „მე და ჩემი სიმღერა“

გადაცემაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ საესტრადო, ხალხური და კლასიკური სიმღერის შემსრულებლებს, რომლებმაც მუსიკალური პროგრამების მთავარ რედაქციაში უნდა წარმოადგინონ მზა რეპერტუარი. გადაცემის ძირითადი მიზანია ახალი ქართული სიმღერის პოპულარიზაცია და შემსრულებელთა დაახლოვება მსმენელთან.

გადაცემის ავტორები არიან გულნარა გრიგოლია და დიმიტრი ვარდოშვილი.

გადაცემის გადაღება მოეწყობა ერთ-ერთ საკონცერტო დარბაზში. მსმენელებს ექნებათ შესაძლებლობა გამოთქვან თავიანთი მოსაზრება ქართულ სიმღერაზე და მის შემსრულებლებზე.

პირველი სატელევიზიო გადაცემის „მე და ჩემი სიმღერის“ მონაწილეთათვის დაწესებულია ერთი მთავარი პრიზი, ერთი პირველი, ერთი მეორე, ერთი მესამე, პრიზი საუკეთესო კომპოზიტორისათვის, პრიზები აქტიური მონაწილეთათვის.

ჩვენი სპონსორები არიან: საქაგრომრეწვის № 1 საამშენებლო-სარემონტო ტრესტის ახმეტის უბანი (უფროსი გურამ ფშავლიშვილი); ახმეტის სახალხო უნივერსიტეტი (პრორექტორი თამარ მურთაზაშვილი); საქართველოს ალკკ ახმეტის რაიკომი (მდივანი იური მაისურაძე), ახმეტის ადგილობრივი მრეწველობის სარაიონთაშორისო საწარმოო გაერთიანება (გენერალური დირექტორი ალბერტი ბარასტაევი).

**იჩქარეთ! საქართველოს ტელევიზიის მუსიკალური პროგრამების მთავარი რედაქცია ელის თქვენს გამოხმაურებას.**

**ჩვენი მისამართია: თბილისი 71, ლენინის ქუჩა 68, საქართველოს ტელევიზიის მუსიკალური პროგრამების მთავარი რედაქცია.**

**ტელეფონი 86-84-83.**

# ძალა იმედისა შეაძლებინებს

**ახლით** ახალი წლის მობრძანებით სოფლის მყუდროება არავის დაურღვევია, რადგან იქ ისევ მძლავრობს ძველი ტრადიცია და დღესასწაული. მხიარულება, სიმღერა, მეზობლებში გადაპატიჟება, ღორის დაკვლა კვლავინდებურად, ძველით ახალ წელს ხდება. მაგრამ ამჯერად, 1 იანვარს მაინც აზმაურდა ძეგვში ერთი ოჯახი, როცა რთველიაშვილის კარს „ჟიგული“ მიადგა. ოჯახის უფროსმა მანქანიდან გადმოსულ თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს ვლადიმერ კანკავასა და თბილისის სპორტკომიტეტის ოლიმპიური რეზერვის კომპლექსური სკოლის დირექტორს ელდარ ფარჯანაძეს ძველი ნაცნობებივით მიესალმა და შინ შეიპატიჟა.

ჩამოსულები საკმაოდ შინაურულად გრძნობდნენ თავს, რაც იმაზე მეტყველებდა, რომ ისინი აქ ხშირი სტუმრები უნდა ყოფილიყვნენ.

მერე წამით დუმილი ჩამოვარდა და როგორ არისო — იკითხა ვლადიმერ კანკავამ.

— არა უშავს, ძველებურად,— და ამ სიტყვებით შეგვიძღვა ავადმყოფის ოთახში. სასთუმლიდან სევდიანი თვალების მზერა მოგვწვდა. ეს ჩვენი ვიზიტის მიზეზი— გიორგი (შინაურები გიგას ეძახიან) რთველიაშვილია, მისი ტრავმის შესახებ „ახკომის“ მკითხველებმა იციან. ამიტომ, ახლა თავიდან არ მოვყვები მისი დაშავების ამბავს. უფრო ის მაინტერესებს, თუ როგორ უმკლავდება ეს 23 წლის ჭაბუკი თავის ბედს. და უნდა ითქვას, რომ სავსებით ღირსეულად. იგი აღსავსეა ოპტიმიზმით და ღრმად სწამს, რომ რწმენა მას დიდ დახმარებას გაუწევს ამ უბედურების დაძლევაში, თან დიდი იმედი აქვს იმ სიახლეებისა და ძვრებისა, რაც დღეს ჩვენში ხდება, კერძოდ, ოპტიმისტურად უყურებს იმ საქველმოქმედო მოძრაობას, რომელიც, ალბათ, მისთვისაც გამოჰყოფს ვალუტის გარკვეულ თანხას, რის შედეგადაც მას საშუალება მიეცემა მსოფლიოს მოწინავე კლინიკებში იმკურნალოს.

საუბარში სულ უფრო ხშირად მოიხსენიებოდა ცნობილი ტრავმატოლოგების — ლივშიცისა და ელიზაროვის სახელები, მათთან ერთად ცნობილი საბჭოთა ძალოსნისა და მწერლის იური ვლასოვის სახელიც ითქვა, მაგრამ არა როგორც თავის დროის ფენომენალური რეკორდების მფლობელისა, არამედ როგორც გიგას ბედგამოვლილისა. იური ვლასოვმაც ხერხემლის მძიმე ტრავმა გადაიტანა და უიმედო მდგომარეობაში აღმოჩნდა, მაგრამ ნებისყოფისა და ვარჯიშის წყალობით ფეხზე დადგა. გაირკვა, რომ გიგას მისთვისაც მიუწერია და რჩევა უთხოვია, მაგრამ პასუხი ჯერ არა ჩანს...

სტუმრების საპატიო ნუგბარს ერთი, მეტად მნიშვნელოვანი საბუთი ახლდა. ეს გახლდათ თბილისის სახალხო დეპუტატთა აღმასკომის საბჭოს გადაწყვეტილება, რომელსაც მოუთმენლად ელოდა ავადმყოფი და მან სიხარულთან, ერთად იმედიც განუმტკიცა. გადაწყვეტილების თანახმად გიგამ თბილისში ბინა უნდა მიიღოს, სადაც მკურნალობის მეტი შესაძლებლობებია.

ავადმყოფთან ორიოდ საათი დავყავით. დრო შეუმჩნევლად მიილია, მაგრამ იმ დღისგან დამრჩა უფრო მეტი რწმენა, რომ ნებისყოფა და თანადგომა ყველაფერს დაძლევს.

**უშანგი ჭიჭინაძე**

**სოფელი ძეგვი.**

# დათო ტურაშვილი

# ჩანაწერები

ადამიანი უფრო მომტევებელი იქნებოდა მეორის მიმართ, იმაზე რომ არ ფიქრობდეს, რას იტყვის მესამე...

●

ერთხელ თამუნა თითმერიამ სუფრაზე მეგობრებს გვითხრა: — მიყვარხართ იმდენად, რამდენადაც ჩემს სამშობლოს სჭირდებით!

●

...ჩემო ათასჯერ გაყიდულო,
მუქად დარჩენილო საქართველო,
ყველასგან ულვთოდ გარიყულო,
მაინც ყველასათვის სანატრელო,
სტუმრისაგან მუხთლად
დაწრეტილო,
მაინც ყველასთვის საფარველო,
ჩემო ათასჯერ დახვრეტილო,
მაინც უკვდავო საქართველო!...

●

ყოველდღე ჩვენს პრესაში არის წერილები ჩვენი და ებრაელების ურთიერთობაზე. ჩვენს შორის არსებულ მეგობრობასა და სიყვარულზე, იმაზე, რომ ჩვენს შორის არასდროს ყოფილა არაფერი, ძმობის გარდა. კინოსტუდიაში ეფრაიმ გურმა თქვა, იმდენს ნუ იზამთ, ვილაცას ეჭვი შეეპაროს, რა სიყვარული და ჩახუტება ჰქონდათ ასეთიო, და მე ვიხსენებ ბავშვობას, უფროსებისაგან, ჩვენივე ტოლებისაგან გაგონილ მორიდებას, ეგენი ხომ ებრაელები არიანო...

ჩვენი და ებრაელების ურთიერთობის სილამაზე სწორედ იმაში მდგომარეობს, მიუხედავად ყველაფრისა, ასეთი კარგი რომ არის. ვთქვათ ხოლმე, ისიც, თუ სადმე ძმობა გაგვიმრუდდა. სიმართლეს არაფერი ჯობია. ასე უფრო გვეყვარება ერთმანეთი.

●

8 აპრილს, (ერთი დღით ადრე) ტანკებმა რომ ჩამიარეს, ალბათ გახსოვთ, იმ არეულობაში, — მაინც შევამჩნიე, როგორ ახტა პირველ ტანკზე დათო ჭიჭინაძე, მერე სხვებიც მოყვნენ, და კიდევ მახსოვს, გოჩა კვაჭანტირაძე — ბოლო ტანკს მისდევდა და მუშტს ურტყამდა, მუშტს, კაცო, თვალებს არ ვუჯერებდი. მერე ვფიქრობდი, — ალბათ ეგ არის ჩემი სამშობლოს ისტორია — ბევრი და დიდი იყო ყოველთვის მტერი, ცოტანი ვიყავით ჩვენ...

●

რა ცოტა ჰყოფნის ადამიანს სიხარულისათვის:

ერთხელ, კინოსტუდიაში, თვალებგაბრწყინებული ერლომ ახვლედიანი მოვიდა. ბატონო ერლომ, რა მოხდა-მეთქი და იცით რა მითხრა? ტაქსის მძღოლს ფული რომ მივეცი, მადლობა გადამიხადაო...

მართლა, რა ცოტა ჰყოფნის კაცს სიხარულისათვის...

●

ქართული ხალხური პოეზია მართლა გენიალურია. მართლაც ზღაპრული. აი, ამას, ასე უბრალოდ მოფიქრება არ უნდა? —
„თუ საიქიო არა სჯობს,
ამ წუთისოფლის წყეულსა,
ერთს ვისმე მაინც ვნახავდი,
იქიდან გამოქცეულსა...“
სადღაც წაკითხული თუ მოსმენილი მაგონდება:
„სიკვდილი რომ კარგი იყოს,
ერთხელ სიკვდილიც მოკვდებოდა“...
რაც არ ვიცი. არ ვიცი...

●

ამ ზაფხულს, თბილისში ჩამოსულს; დედაჩემმა ამბავი დამახვედრა, ბოლო დროს უცხოპლანეტელები შემოგვიჩვიენ. მთაწმინდაზე და მეტეხის გვირაბში ტევა არ არისო. მომიყვა ვინ შეხვდა, როგორ შეხვდა, ამათ რა თქვეს, იმათ რა ურჩიეს და ა. შ. ბოლოს დააყოლა, ნუ გეშინია, ეგენი კეთილი განზრახვით მოფრინდნენ, მხოლოდ კეთილი სურვილები ამოძრავებთო. მე ვუთხარი, დედა, საქართველოში ვინც მოვიდა, ყველა სიყვარულს გვეფიცებოდა და კეთილი განზრახვა ჰქონდა, მერე მტრად შემოგვიბრუნდა ყველა, ჩვენებურად რომ დავხვდით და მივიღეთ, ჩვენ ისეთი ბედი გვაქვს, რომ შემოვიჩვიოთ ეგ უცხოპლანეტელებიც, ცოტა ხანში ან მიწას მოგვთხოვენ, ან ავტონომიას. მერე უნდა ვიჭყლიტოთ ტვინი და ვიმტვრიოთ თავი. თუ არა გჯერათ, აგერ თქვენ, მე, და აგერ უცხოპლანეტელები...

●

ზოგჯერ მგონია, რომ მართლა ქალმა გადაარჩინა საქართველო...

●

ვინ როგორ გადაურჩა
ოლდაჩვიდმეტს,
(ცხოვრება მაგონებს
ატრაქციონს)
დარჩენამ უშველა რობაქიძეს,
ნილაბმა უშველა გალაკტიონს...

●

როგორ ადვილად ვტოვებთ ერთმანეთს, ვითომ არც არაფერი, თითქოს არც მეგობრები ვყოფილვართ, ან არც გვყვარებია ერთმანეთი...

●

დაკვირვებული ვარ, როგორ ეცილებიან დაკრძალვაზე ადამიანები ერთმანეთს, როგორ ცდილობენ კუბოს წაღებაში ერთმანეთს დაასწრონ. ეს, როცა კაცი ცოცხალი აღარაა. და მიკვირს: რატომ არ ვფიქრობთ, სიცოცხლეში შევაშველოთ ერთმანეთს ხელი...

●

მკვლელი რომ იყო, სულ არაა აუცილებელი ტყვიის სროლა. ადამიანს ზოგჯერ სიტყვაც კი ჰკლავს, ჩვენ ამაზე ფიქრი არ გვინდა და სულ უფრო დაუნდობელნი ვხდებით...

ყველაზე საშიში, მართლაც, მოყვრად მოსული მტერია. როცა ძმას გვეძახიან (თან მე უფროსი ძმა ვიქნებიო) და შენ ღრმა ძილში ყველაფერს კარგავ, ხდება ერის დეგრადირება, გადაგვარება.

ჩვენს წინაპრებს სადღეგრძელო ჰქონდათ, — მტერს გაუმარჯოსო. ალბათ, იმ მტერს გულისხმობდნენ, დაძინების საშუალებას რომ არ გვაძლევდა, ხმალს რომ გვიქნევდა და გვაფხიზლებდა. ალბათ, იმ ბრძოლაში ვუკეთესდებოდით, ანდა, იმ კარგს ვინარჩუნებდით, რაც გვქონდა...

ღმერთმა მტრები არ მოგვაკლოს-მეთქი, როგორ ვთქვა, მაგრამ, რომ ჩაგვაძინოს, ისიც არ მინდა...

●

გაგონილი მაქვს ასეთი ისტორია:

ერთ-ერთი მილიციელი (ასეთები მრავლად მორიგეობენ სიონთან), ბერად აღიკვეცა. არ ვიცი, რამდენად მართალია. რაც ვიცი, იმას გეტყვით.

გარეჯში, სოფელ უდაბნოდან დადიოდა ხოლმე კვირაობით ფოტოგრაფი. სურათებს უღებდა ექსკურსიაზე ჩამოსულ ხალხს. ეს იყო შარშან...

ამასწინათ, ქორწილიდან გავიპარეთ და საკმაოდ გვიან ჩავედით გარეჯში, ეკლესიაში, ის ფოტოგრაფი ვიკითხე და, ყოველდღე მოდის და ლოცულობსო...

შეიძლება მეჩვენება, მაგრამ, მგონი, ვუბრუნდებით ერთხელ აცდენილ გზას...

●

ადამიანი ჭირში იცნობაო. მეტი გაჭირვება რა გინდათ, ბენზინი რომ გაწყდა და ფეხით სიარულს გადაჩვეულნი. კინაღამ რომ გადავირიეთ. მეტი გაჭირვება რა გინდათ... და ვუყურებ ახლა თბილისურ რიგებს ბენზინისას და რას ვფიქრობ, თუ იცით: (ისე ჩემთვის): ამ განვითარებული (ჩვენ რომ ვეძახით) ეროვნული თვითშეგნების პირობებში, მაინც რამდენ ქართველს მოკლავს ერთი ქართველი, ვთქვათ 10 ლიტრა ბენზინისათვის?

ოცისთვის?...

●

მე ძალიან მიყვარს 50-იანი, 60-იანი წლების თბილისი, როცა ყველა ერთმანეთს იცნობდა, რაღაც სხვა სითბო ტრიალებდა, რაღაც სხვა ქართული ინტიმი, რაც ახლა, სამწუხაროდ, სანატრელი გაგვიხდა. მე იმ დროს, რა თქმა უნდა, არ მოვსწრებივარ და მხოლოდ გადმოცემით ვიცი, იმ მართლაც კეთილი დამოკიდებულების შესახებ, ერთმანეთის მიმართ რომ ჰქონდათ. უფროსებისაგან, მამების თაობისაგან ბევრი საინტერესო და თბილი ისტორია მსმენია, ალბათ, აუცილებელია, მათზე უფრო ხმამაღლა ითქვას. მაშინ მართლა ბევრი კარგი ადამიანი იყო: ნიჭიერები და კოლორიტულები, დამრტყმელები და მოქეიფეები, ან უბრალოდ კარგი ბიჭები...

●

ისტორიები და ამბები უამრავია...

ერთხელ, თურმე, გურამ რჩეულიშვილს და ერლომ ახვლედიანს დიდი და ლამაზი ძაღლი ჰყოლიათ. გურამს, ერთი დღით ის ძაღლი ავთო ვარაზისათვის მიუბარებია. ავთოს კი, „პახმელიაზე“ ლუდი მოსდომებია და ის ძაღლიც ერთ კათხაში გაუცვლია. გურამი იგინებოდა თურმე და თან სიცილით კვდებოდა...

●

ნიაზი მდგარა „ბირჟაზე“ სამუშაო საათებში.

გამოუვლია მილიციელს და დიასამიძისათვის უკითხავს, რატომ უსაქმურობ, სად მუშაობო, ნიაზის უთქვამს, დომინოს ქარხანაში ვმუშაობ, დომინოს ქვებზე წერტილებს ვსვამო. მერე დღეს რატომ არა ხარ სამსახურშიო, დღეს „პუსტა-პუსტას“ ვუშვებთო...

●

ტატო კოტეტიშვილმა მშვენიერი აზრი მოგვაწოდა ერთ-ერთ ყრილობაზე. უფრო სწორად, უნდოდა, მაგრამ აღარ ვაცალეთ და ფაქტიურად სცენიდან ჩამოვაგდეთ (აბა სადა გვაქვს დრო, ერთმანეთს მოვუსმინოთ: ჩვენ ხომ ყველანი ისედაც ჭკვიანები ვართ).

მერე, რომ დამთავრდა, ფოიეში მოვძებნე და მითხრა, იმის თქმა მინდოდა, ყველა ახალგაზრდა, ვისაც სწავლის სურვილი აქვს, საზღვარგარეთ უნდა გაუშვანო. მთავარია გაუშვან და იქ თუნდაც თავის ხარჯზე იცხოვრებენო.

მე აბსოლუტურად ვეთანხმები ტატოს. განა ეგრე არ სწავლობდნენ XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ის ქართველები, ვინც რაღაც შექმნეს და დაგვიტოვეს. ახლაც იმათი მიღწეულით არ ვსაზრდოობთ? იმიტომაც ვეთანხმები ამ აზრს, ჩვენში ყველაფერ წახდენილს, მათ შორის განათლების სისტემასაც, სანამ ეშველება, იქნებ იმ ნანატრმა საქართველომაც კარზე მოგვიკაკუნოს და ასე ტვინ და ხელცარიელი ხომ არ შევხვდებით?..

●

იცით, რომ საზოგადოების განვითარების რომელიღაც საფეხურზე, ადამიანები შემგროვებლობას ეწეოდნენ. მერე განვითარდა კაცობრიობა და დღემდე მოვიდა. მაგრამ, ზოგიერთი ხალხისათვის ის ეტაპი არც ისე შორეული, შეიძლება ითქვას, გუშინდელი დღე იყო.

ერთმა კაცმა მითხრა, დააკვირდიო და დავაკვირდი, თუ გნებავთ, თქვენც დააკვირდით — სადაც კარუსები არიან, სულ დადიან და რაღაცეებს აგროვებენ, სოკოებს, კენკროვანებს და რა ვიცი კიდევ...

●

ყველა ადამიანს თავისი, ზუსტად მისეული როლი და ფუნქცია აქვს ცხოვრებაში. ისევე, როგორც მსახიობს თეატრში. ხშირად წლები სჭირდება იმ როლის მოძებნას, რომელიც სწორედ ამ მსახიობისათვისაა განკუთვნილი. სცენაზეც ასეა და ცხოვრებაშიც: როლს მიგნება უნდა...

●

არ არსებობს, ალბათ, კაცი, სიკვდილზე რომ არ ეფიქროს. მე უფრო მეტსაც გეტყვით, ისეთ პერიოდს ვერ ვიხსენებ ჩემი ცხოვრებისას, სიკვდილზე ფიქრისათვის თავი რომ დამენებებინოს. ზოგჯერ კი სულ ცოტა მრჩება ხოლმე ამ ნაბიჯის გადადგმამდე. და მაინც რაღაც-რაღაცეების გამო, თავს არ ვიკლავ, თუმცა ხშირად ძალიან მინდა...

და მოკლედ ჭარ ასე — ერთი ფეხი იქით, ერთიც აქეთ...

**რედაქტორი**
**მერაბ ბალარჯიშვილი**

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. № 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13

უე 00104